პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 19 (19461) ◆ ხუთშაბათი, 23 იანვარი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

## საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა გაიხსნება ამა წლის 24 იანვარს დილის 9 საათზე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 23 იანვარს დილის 9 საათიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში, 24 იანვარს — 7 საათსა და 30 წუთიდან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

# წინსვლის მძლავრი ნაბიჯები

## საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები

### საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

**რესპუბლიკის** მშრომელებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებს და გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, დაჩქარეს საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპი, გააუმჯობესეს მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამაღლდა ხალხის კეთილდღეობის დონე.

გასულ წელს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად შედეგებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

| | 1985 წელი პროცენტობით 1984 წელთან შედარებით |
|---|---|
| წარმოებული ეროვნული შემოსავალი | 105 |
| მრეწველობის პროდუქცია — სულ | 107 |
| მათ შორის: | |
| წარმოების საშუალებათა წარმოება | 108,7 |
| მოხმარების საგნების წარმოება | 103,9 |
| სოფლის მეურნეობის პროდუქცია | 97,6 |
| ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა | 108,5 |
| ძირითადი ფონდების ამოქმედება | 106 |
| კაპიტალდაბანდებანი | 103 |
| მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი | 101,8 |
| შრომის ნაყოფიერება: | |
| მრეწველობაში | 105,4 |
| სოფლის მეურნეობაში (საზოგადოებრივი წარმოება) | 102,0 |
| შენებლობაში | 103,3 |
| მოგება სახალხო მეურნეობაში | 100,1 |
| რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე | 102,8 |
| ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში | 105,2 |
| მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი | 103,3 |
| კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობებში | 103,0 |
| მოსახლეობისადმი მისაცემლები და შეღავათები საზოგადოებრივი მოხმარების ფონდებიდან: | |
| ს უ ლ | 104 |
| ერთ სულ მოსახლეზე | 103 |
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა | 103,5 |
| მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა | 107,4 |
| საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა | 106,2 |

**ეროვნული შემოსავალი** 1984 წელთან შედარებით 400 მილიონი მანეთით გაიზარდა და გადააჭარბა 10,5 მილიარდ მანეთს (ფაქტობრივი ფასებით).

**მრეწველობის პროდუქცია** 1984 წელთან შედარებით 740 მილიონი მანეთით გაიზარდა და 11,4 მილიარდი მანეთი შეადგინა.

**სოფლის მეურნეობის პროდუქციამ** 1985 წელს 2,3 მილიარდი მანეთი შეადგინა. ამოქმედებულია 2577 მილიონი მანეთი **ძირითადი ფონდები.**

განხორციელდა ინტენსიური განვითარების რელსებზე ეკონომიკის გადაყვანის დაჩქარების მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი.

ამაღლდა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების დონე. ამის საფუძველზე უზრუნველყოფილია ეროვნული შემოსავლის მატების 80 პროცენტი. შემცირდა საზოგადოებრივი პროდუქტის მასალატევადობა, რამაც დაზოგა 60 მილიონი მანეთის ნედლეული, მასალები, სათბობი, ენერგია და სხვა შრომის საგნები.

შემცირდა ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა და ლითონტევადობა. სათბობზე, ენერგიასა და შავი ლითონების ნაგლინზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების მატების თითქმის ნახევარი უზრუნველყოფილია ეკონომიის გზით.

**მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიურმა რიცხვმა შეადგინა** 2170 ათასი, **კოლმეურნეთა** (საზოგადოებრივ მეურნეობაში) რიცხვმა — 302 ათასი. როგორც წინა წლებში, უზრუნველყოფილი იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმება.

განვლილი წელი აღინიშნა საწარმოო კოლექტივების დიდი შრომითი აქტიურობით. კიდევ უფრო გავრცელდა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმები. არსებითად შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები, კადრების დენადობა.

კვლავ იხვეწებოდა სახალხო მეურნეობის მართვა. კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა მეურნეობრიობის ახალი მეთოდები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. დაიწყო მანქანათაშენებელი და აგროსამრეწველო კომპლექსების მართვის სისტემის გარდაქმნა.

თუმცა საერთოდ დადებითი შედეგებია მიღწეული სახალხო მეურნეობის განვითარებაში, მაგრამ მთელ რიგ დარგებში დაშვებულია ჩამორჩენა საგეგმო დავალებებთან შედარებით უმთავრესად იმის გამო, რომ ნელა ხდებოდა მეურნეობრიობის ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლა, საკმარისი არ იყო ორგანიზატორული მუშაობის დონე.

## I. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

ხორციელდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებანი. სახალხო მეურნეობაში გამოყენებულია დაახლოებით 300 გამოგონება და 27 ათასი რაციონალიზატორული წინადადება. მეცნიერ მუშაკთა რიცხვმა 27,1 ათასი შეადგინა. გრძელდებოდა დიდფუძემდები ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და გამოყენების უმნიშვნელოვანეს პროგრამათა რეალიზაცია.

ამაღლდა წარმოებისა და გამოშვებული პროდუქციის ტექნიკური დონე.

მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის კაპიტალდაბანდებებმა საწარმოო მშენებლობაში მათი საერთო მოცულობის 27 პროცენტი შეადგინა. ეს რამდენადმე ნაკლებია წინა წელთან შედარებით. ამ სახსრების ხარჯზე უზრუნველყოფილია მაგისტრალური ელმავლების, ელექტროძრავების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სიმძლავრეთა ძირითადი მატება.

**მრეწველობაში** ათვისებულია 200 სახეობის პროდუქციის წარმოება და დაწყებულია მათი გამოშვება. შექმნილია 80 ნიმუშის ახალი ტიპის მანქანები, მოწყობილობა, აპარატები, ხელსაწყოები და ავტომატიზაციის საშუალებანი. კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია 182 უბანი, საამქრო და წარმოება, დადგმულია 243 მექანიზებული ნაკადური, ავტომატური და როტორული ხაზი, 86 სამრეწველო რობოტი, რაცხვული პროგრამული მართვის 81 **ლითონსაჭრელი ჩარხი,** 17 შეწონასწორებული მანიპულატორი და 600 ერთეული სხვა კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატური მოწყობილობა, დანადგარი და აგრეგატი. შექმნილია 14 მართვის ავტომატიზებული სისტემა, მათ შორის 10 ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემა.

მანქანათმშენებლობაში გაფართოვდა ლითონდამზოგავი პროცესების გამოყენება. ათვისებულია ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობის, სამელიორაციო მიწასაწოვი იარაღის, მეცხოველეობის ფერმების მოწყობილობის, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მცირე სიმძლავრის ელექტროძრავების, ელექტროშტამპელურების გამოშვება. გაიზარდა მთელი რიგი მანქანებისა და მოწყობილობის ერთეული სიმძლავრე და მწარმოებლობა.

შავ მეტალურგიაში დაინერგა უსაკეტო მოწყობილობის გამოყენებით ფოლადის ჩამოსხმის, ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ტექნოლოგია, აზოტით თხევადი ფოლადის ღუმელგარეშე (ციცხვური) დამუშავება.

იხვეწებოდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და გამოშვების სტრუქტურა. გაიზარდა „ს“ ინდექსიანი გაუმჯობესებული ხარისხის მსუბუქი მრეწველობის საქონლისა და განსაკუთრებით მოდური ნაწარმის, ფერადი ტელევიზორების გამოშვება.

კვების მრეწველობაში გრძელდებოდა დიდმწარმოებლური მანქანებისა და მოწყობილობის დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის კომპლექსურ გამოყენებას, მისი გადამუშავებისას დანაკარგების შემცირებას, დაინერგა უნარჩენო წარმოებანი ხორცისა და რძის მრეწველობაში.

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის სამრეწველო პროდუქციის ხვედრითმა წილმა საერთო მოცულობაში 12 პროცენტი შეადგინა.

მრეწველობაში მეცნიერულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების გზით მუშაკთა რიცხვის პირობითმა გამოთავისუფლებამ წელიწადზე გაანგარიშებით 7 ათასს გადააჭარბა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა ეკონომიამ 29,4 მილიონი მანეთი შეადგინა.

მოგვარებულია **სასოფლო-სამეურნეო** დანიშნულების აეტომობილების, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზაციისათვის უნივერსალური მოტობლოკების გამოშვება.

ამაღლდა სოფლის მეურნეობაში საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონე. სიმინდის მარცვლის დაახლოებით 35 პროცენტი, სოიის 31 პროცენტი, შაქრის ჭარხლის (საფბრიკო) 37 პროცენტი მოწეულია ფართობზე, რომლის დამუშავებაც ინდუსტრიული ტექნოლოგიით ხდება.

**ტრანსპორტზე** რკინიგზის ხაზების ელექტრიფიცირებული მონაკვეთების სიგრძე 2,3 პროცენტით გაიზარდა, ავტობლოკირებითა და სადისპეტჩერო ცენტრალიზაციით აღჭურვილისა — 3,6 პროცენტით.

სარეკონსტ მატარებლის სამუშაოო წონამ 2 ათას ტონას გადააჭარბა. გაიზარდა დიზელისძრავიანი ავტომობილებით შესრულებული ტვირთბრუნვის წილი.

**მშენებლობაში** კვლავ მაღლდებოდა ტექნიკური დონე პროგრესული კონსტრუქციების, ეფექტიანი მასალების გამოყენების გაფართოების, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე. სრულასწყობი მშენებლობის მოცულობა 1984 წელთან შედარებით 5,7 პროცენტით გაიზარდა, გადიდდა რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და სუპერპლასტიფიკატორების გამოყენებით ნაწარმის დამზადების, სამშენებლო ფოლადის კონსტრუქციების დამზადებისას ფართოთავრავანი ორტესებრი კოჭების გამოყენების სამუშაოთა მოცულობა. წარმატებით გამოიყენებოდა ლაზერული ტექნიკა საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელის მშენებლობისა და საგეგმარებელი სამუშაოების წარმოების დროს, მზადდებოდა მზის ენერგიის გამოყენებით რკინაბეტონსა და ბეტონის კონსტრუქციები და ნაწარმი.

ამავე დროს ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიას წარმოებაში არასაკმარისი ტემპით ითვისებდნენ. მრავალი ნაწარმის, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის ტექნიკური დონე და ხარისხი ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს. ცალკეულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დავალებანი.

## II. მრეწველობა

**სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა** 1984 წელთან შედარებით 7 პროცენტით გაიზარდა გეგმით გათვალისწინებული 6,1 პროცენტის ნაცვლად. ამასთან წლის მეორე ნახევარში უზრუნველყოფილია წარმოების 8,1 პროცენტით მატება, რაც 1,4-ჯერ აღემატება წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს.

გადაჭარბებით შესრულდა მრავალ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების დავალებანი. **პროდუქციის რეალიზაციის** წლიური გეგმა 99,5 პროცენტით შესრულდა.

მრეწველობის ცალკეულ დარგებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

| მონაცემები მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით | წარმოების მოცულობა 1985 წელს პროცენტობით 1984 წელთან შედარებით |
|---|---|
| მძიმე მრეწველობა | 105 |
| მათ შორის: | |
| მანქანათაშენებელი კომპლექსი | 111 |
| საკონსტრუქციო მასალების მწარმოებელი დარგები | 105 |
| აქედან: | |
| შავი და ფერადი მეტალურგია | 102 |
| ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა | 105 |
| ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა | 108 |
| საშენ მასალათა მრეწველობა | 106 |
| სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი | 91 |
| აქედან: | |
| ელექტროენერგეტიკა | 93 |
| სათბობის მრეწველობა | 89 |
| მსუბუქი მრეწველობა | 102 |
| აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი გადამუშავებელი დარგები | 112 |
| აქედან: | |
| ქვების მრეწველობა | 114 |
| ხორცისა და რძის მრეწველობა | 104 |
| თევზის მრეწველობა | 82 |

უფრო დიდ მატებას მიაღწიეს მანქანათმშენებელი კომპლექსის, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალმა გადამმუშავებელმა დარგებმა.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის გამოშვებამ 9,6 პროცენტით გადააჭარბა 1984 წლის მაჩვენებელს.

**შრომის ნაყოფიერება** მრეწველობაში გაიზარდა 5,4 პროცენტით, ამის შედეგად მიღებული ნაწარმოების მატების 81 პროცენტი. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გადიდების გალდებულებანი.

მოლიანად მრეწველობაში და რესპუბლიკის მეტი წილი სამინისტროების, უწყებებისა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების მიხედვით შრომის ნაყოფიერების მატება უსწრებდა საშუალო ხელფასის გადიდებას.

შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება და მასალატევადობა. არ არის უზრუნველყოფილი მოგების გეგმების შესრულება.

ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების საწარმოების მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

| მონაცემები ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების საწარმოების მიხედვით. | პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულება პროცენტი | 1985 წელი პროცენტობით 1984 წელთან შედარებით: | |
|---|---|---|---|
| | | წარმოების მოცულობა | შრომის ნაყოფიერება |
| **საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური (საკავშირო დაქვემდებარების) სამინისტროების საწარმოები:** | | | |
| ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის | 100,0 | 95 | 93 |
| ნავთობის მრეწველობის | 100,9 | 32 | 33 |
| ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის | 102 | 100,3 | 101 |
| გაზის მრეწველობის | 100,9 | 108 | 108 |
| ქვანახშირის მრეწველობის | 100,3 | 103 | 103 |
| შავი მეტალურგიის | 102 | 101 | 102 |
| ფერადი მეტალურგიის | 102 | 104 | 103 |
| ქიმიური მრეწველობის | 93 | 106 | 102 |
| მინერალური სასუქების წარმოების | 84 | 106 | 102 |
| მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის | 100 | 106 | 107 |
| ელექტროტექნიკური მრეწველობის | 102 | 107 | 114 |
| ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის | 99 | 107 | 107 |
| ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების | 102 | 106 | 105 |
| საავტომობილო მრეწველობის | 97 | 105 | 95 |

(დასასრული მე-2 გვ.).

ათი წლის წინათ მოვიდა ზეინაბ ყურაშვილი თბილისის „გლდანის“ საწარმოო გაერთიანებაში. მოვიდა და თან მოპყვა საქმის ნამდვილი ერთგულება, მკერავის პროფესიის შესწავლის დიდი წყურვილი, ამხანაგებისადმი გულისხმიერი და თბილი დამოკიდებულება.

ათი წელი არცთუ ცოტა დროა. ამ ხნის განმავლობაში იგი თავისი საქმის მართლაც უბადლო ოსტატი გახდა. ახლა თვითონ ასწავლის ახალბედებს თავისი პროფესიის „საიდუმლოებას“, ასწავლის უზადო პროდუქციის დამზადების ხელოვნებას.

დიახ, ასწავლის და სწავლობს, ყოველდღიურად ხვეწს ოსტატობას, იმაღლებს კვალიფიკაციას...

მისი მუყაითობა და მოვალეობისადმი სერიოზული დამოკიდებულება შეუმჩნეველი როდი დარჩა. დაიფასეს ქალიშვილის მონდომება და ერთგულება. გლდანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატი ამავე რაიონის პარტიული კონფერენციის დელეგატად აირჩიეს, ხოლო აქედან თბილისის მე-40 პარტიულ კონფერენციაზე წარგზავნეს.

დღეს ზეინაბ ყურაშვილი საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატია. უსაზღვროდ ბედნიერია ზეინაბი თავისი შრომის ესოდენი დაფასებისათვის. ბედნიერია და პირობას იძლევა ამრავლოს საკუთარი მიღწევები და დაეხმაროს მოწინავეთა პოზიციების დამკვიდრებაში გვერდით მომუშავე ამხანაგებს.

სურათზე: ზეინაბ ყურაშვილი.

ფ. კრიმსკის ფოტო.

## მთავარი ექიმი

**ნათქვამია,** საქმემან შენმან გამოგაჩინოსო. ამიტომ არის, რომ პიროვნების პორტრეტის დახატვისას უმთავრესად მისი საქმიანობის შედეგებს მიმართავენ ხოლმე. საქმეში კარგად ჩანს კაცის ნასიათი. ჩვენც ამ გზას დავადექით, რათა წარმოგიდგინოთ თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი არჩილ ბორჯაძე.

არჩილ ბორჯაძე ჯერ საავადმყოფოს პარტიული ბიუროს მდივანი იყო. შემდგომ, როცა მთავარ ექიმად დაინიშნურეს, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატად აირჩიეს. მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. თბილისის საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ ამჯერადაც საქართველოს კომპარტიის მომავალი, XXVII ყრილობის დელეგატად აირჩია. და ეს შემთხვევითი არ არის.

მრავალპროფილიანი სტაციონარია თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფო, რომელსაც 1700 საწოლი აქვს და ამიერკავკასიაში ყველაზე დიდ სამკურნალო კომბინატად ითვლება. საავადმყოფოს ბაზაზე მუშაობს ორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და 14 კათედრა.

ბევრი რამ შეიცვალა საავადმყოფოს განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად და მთავარ ექიმს შეუძლია თქვას, რა წარმატებებს მიაღწიეს ყრილობიდან ყრილობამდე... თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ისტორიაში (რომელსაც ახლო მომავალში 90 წელი შეუსრულდება) არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი ძვრები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მხრივ, როგორიც მიმდინარე ხუთწლეულში მოხდა. ერთი სიტყვით ბევრი რამ გაკეთდა, მოგვარდა, მაგრამ მთავარ ექიმს საზრუნავი და საფუხარი მაინც ბევრი რჩება.

— მთავარი მაინც ის გახლავთ, — ამბობს ა. ბორჯაძე, — რომ ვერ მივაღწიეთ კოლექტივის პასუხისმგებლობის იმ დონეს, რომელიც მთლიანად გამორიცხავდა პროფესიულ გულგრილობას, შრომის დისციპლინისა და სამედიცინო ეთიკის დარღვევის თუნდაც ერთეულ შემთხვევებს.

შემდგომ მან საყვედური გამოთქვა შეფების — ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, სამონტაჟო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს, „ქალაქპროექტის“, მშენებლობის სამინისტროსა და კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს, ძველი უბნებისა და შენობების რესტავრაციის სპეციალიზებული სამმართველოს და სხვათა მისამართით, რომლებიც არ ეხმარებიან საავადმყოფოს.

— დღეს განსაკუთრებით მასშტაბური ამოცანები დგას სამედიცინო სამსახურის მუშაკების წინაშე, — თქვა ბოლოს ა. ბორჯაძემ, — საუკეთესო შედეგებს საქმიანობაში მიაღწევს ის კოლექტივი, სადაც ორგანიზებულობა და დისციპლინა ცხოვრების ნორმად არის მიჩნეული.

— საავადმყოფოს მედპერსონალმა მტკიცედ დაუჭირა მხარი ინიციატივას „შრომის დისციპლინასა და სამედიცინო ეთიკას — კოლექტივის გარანტია“, რაც იმის საწინდარია, რომ პასუხსაგები ამოცანების ჯეროვანი გადაწყვეტით შევძლებთ ღირსეულად შეხვდეთ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

იმედია, პირველი საავადმყოფოს მედპერსონალი და მათი მთავარი ექიმი ამ სიტყვას პირნათლად შეასრულებენ.

ნ. ნორაკიძე.

## საყრილობო ნოგათეგი

● **გულრიფში.** (საკ. კორ.). რაიონის სამრეწველო კომბინატის კოლექტივმა შეასრულა საყრილობო სახელმწიფო გეგმა და ვალდებულება. იანვრის დავალებით გათვალისწინებული 180 ათასი მანეთის ნაცვლად დღეისათვის უკვე დამზადდა 192 ათასი მანეთის პროდუქცია, წარმატებებია მოპოვებული სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც.

— ცხადია, — განაცხადა ჭარხნის დირექტორმა ჯ. ქირიამ, — წარმატებებისათვის ერთბაშად არ მიგვიღწევია. ამას გასული ხუთწლედის პერიოდში და განსაკუთრებით მის დამამთავრებელ წელს ჩაეყარა საფუძველი. შარშან გეგმის გადამეტებით 110 ათასი მანეთის სამშენებლო მასალები, ტანსაცმელი, კულტსაქონელი, ხის, ტყავისა და სხვა სახეობის ნაწარმი გამოვუშვით, შრომის ნაყოფიერება 6,2 პროცენტით გავზარდეთ, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 8 პროცენტით შევამცირეთ.

კომბინატის კოლექტივის გადაწყვეტილებაა მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ ორი თვის გეგმები. შრომის ტემპი დღითი დღე მატულობს.

● **რესპუბლიკის** კომუნისტთა ფორუმს კარგი მაჩვენებლებით ეგებებინან აბაშელი მშრომელები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ხორცის, რძის, აბრეშუმის პარკის, ბოსტნეულის, ჩაის, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებები. ისინი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში განსაკუთრებით კარგად გაისარჯნენ შარშან, როდესაც საგრძნობლად გადააჭარბეს ყველა საგეგმო მაჩვენებელს და ამით მეთორმეტე ხუთწლედში გამართული მუშაობის სათანადო ბაზისიც შექმნეს.

რაიონში კარგად მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით უკვე წარმოებულია 57 ტონით მეტი ხორცი, 136 ტონით მეტი რძე.

კეთილარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის, პურის მიმღები საწარმოს და სხვათა შრომითს კოლექტივებს გადაწყვეტილი აქვთ სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ ორი თვის გეგმები. შრომის ტემპი დღითი დღე მატულობს.

## მუშიდოგისა და უფიფრეგისათვის

**20 იანვარს** კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა. განიხილეს საკითხი მშვიდობის საერთაშორისო წლის მოწყობაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ.

სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი — კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი—ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი.

სხდომის მონაწილეებმა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების განცხადება მშვიდობის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით. (ТАСС).

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

**ზვილიანი** ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ზვილებისათვის დახმარების ოდენობის გადიდების შესახებ, რომელიც თვალისწინებს გაიზარდოს ვადიანი სამსახურის ჯარისკაცების, მატროსების, სერჟანტებისა და ზემდეგების ზვილებისათვის დახმარების ოდენობა თვეში 35 მანეთამდე ერთ ბავშვზე როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

მიღებულია აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სახელმწიფო დახმარება მიეცეთ ზვილიან ქვრივებს, რომლებიც არ იღებენ მათთვის პენსიას მარჩენალის დაკარგვის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილებანი ძალაშია 1986 წლის 1 იანვრიდან.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**ამხ. შ. ვ. გორგოძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ**

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. შოთა ვარლამის ძე **გორგოძე** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**ჯ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**თ. ლაშკარაშვილი.**

თბილისი. **1986 წლის 22 იანვარი.**

შოთა ვარლამის ძე გორგოძე დაბადებულია 1932 წელს, ქართველია. სკკპ წევრია 1960 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება — 1955 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, 1979 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

შრომითი საქმიანობა ამხ. შ. ვ. გორგოძემ დაიწყო 1955 წელს თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვებში“, სადაც მუშაობდა ოსტატად, უფროს ოსტატად, უბნის უფროსად, საამქროს უფროსის მოადგილედ, უფროსად, ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად. 1962 წლიდან იგი პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის ინსტრუქტორია.

1965 წელს ამხ. შ. ვ. გორგოძე სამუშაოდ იგზავნება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში, განვლო გზა განყოფილების უფროსის მოადგილედან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემდე. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა 1978 წლიდან.

ამხ. შ. ვ. გორგოძე შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორია, დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის, „სიმამაცისა“ ორდენებით, მედლებით.

# წინსვლის მძლავრი ნაბიჯები

(დასასრული)

| | | | |
|---|---|---|---|
| სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის | 97 | 117 | 119 |
| სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის | 104 | 105 | 104 |
| მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების | 100 | 108 | 108 |
| ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის | 100,8 | 109 | 104 |
| მსუბუქი მრეწველობის | 113 | 107 | 105 |
| თევზის მეურნეობის | 89 | 85 | 85 |
| სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის | 100,6 | 107 | 103 |
| გზათა | 100,6 | 108 | 99,8 |
| **საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოები:** | | | |
| ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის | 101 | 109 | 107 |
| საშენ მასალათა მრეწველობის | 99 | 104 | 100,2 |
| მსუბუქი მრეწველობის | 94 | 102 | 102 |
| სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის | 102 | 112 | 112 |
| პურპროდუქტების | 106 | 103 | 103 |
| მშენებლობის | 98 | 104 | 106 |
| ადგილობრივი მრეწველობის | 98 | 105 | 104 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობის | 101 | 106 | 102 |

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებისა და ზრდის ტემპის მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

| ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები | პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულება, % | 1985 წელი პროცენტობით 1984 წელთან შედარებით: წარმოების მოცულობა | შრომის ნაყოფიერება |
|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 102 | 103 | 102 |
| აჭარის ასსრ | 100,3 | 101 | 101 |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 103 | 112 | 106 |
| ქალაქები: | | | |
| თბილისი | 101 | 107 | 107 |
| სოხუმი | 102 | 105 | 105 |
| ბათუმი | 102 | 102 | 102 |
| ცხინვალი | 103 | 115 | 107 |
| ქუთაისი | 93 | 99 | 95 |
| რუსთავი | 95 | 105 | 102 |
| ფოთი | 100,2 | 101 | 100,0 |
| გორი | 99 | 107 | 106 |
| ზუგდიდი | 103 | 104 | 104 |
| ჭიათურა | 101 | 102 | 102 |
| ტყიბული | 101 | 106 | 105 |
| გაგრა | 105 | 107 | 103 |
| წყალტუბო | 103 | 106 | 102 |
| ტყვარჩელი | 103 | 100,3 | 98 |
| მარნეული | 104 | 105 | 100,7 |

1985 წელს მთელი რიგი სამრეწველო სამინისტროების 29 საწარმოო გაერთიანება და საწარმო მუშაობდა მეურნეობრიობის ახალ პირობებში. მათ უმრავლესობაში დაჩქარდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, გაუმჯობესდა სახელშეკრულებო დისციპლინა, სრული მოცულობით შესრულდა სახელშეკრულებო ვალდებულებანი.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ შეადგინა:

| უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება | წარმებულია 1985 წელს | 1985 წელი პროცენტობით 1984 წელთან შედარებით |
|---|---|---|
| ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი | 14,4 | 94 |
| მანგანუმის მადანი, მილიონი ტონა | 2,7 | 97 |
| ფოლადის მილები, ათასი ტონა | 524 | 102 |
| მინერალური სასუქები (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა | 114 | 93 |
| სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები (კაპროლაქტამი), ათასი ტონა | 21,2 | 90 |
| ქიმიური ბოჭკო და ძაფი, ათასი ტონა | 28,4 | 103 |
| სინთეზური სარეცხი საშუალებანი, ათასი ტონა | 5,1 | 106 |
| ცვლადი დენის ელექტროძრავები, ათასი კილოვატი | 108 | 100,9 |
| ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთისა | 43,3 | 108 |
| ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა | 37,3 | 116 |
| გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა | 43,5 | 111 |
| კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა | 32,2 | 111 |
| სასოფლო-სამეურნეო მანქანები მილიონი მანეთისა | 9,6 | 162 |
| სამასალე მერქანი (კოლმეურნეობათა მიერ დამზადებული ხე-ტყის გარდა), ათასი ფასტმეტრი | 166 | 99,5 |
| ქაღალდი, ათასი ტონა | 40,0 | 99,8 |
| ასაწყობი რკინაბეტონი, მილიონი კუბური მეტრი | 2,1 | 112 |
| შეკერილი ნაწარმი, მილიონი მანეთისა | 538 | 102 |
| ტრიკოტაჟის საცვლები და ზედა ტრიკოტაჟი, მილიონი ცალი | 55,9 | 104 |
| ტყავის ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი | 17,1 | 108 |
| ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა | 6,4 | 2,1-ჯერ |
| ფერადი ტელევიზორები, ათასი ცალი | 27,0 | 1,9-ჯერ |
| ავეჯი, მილიონი მანეთისა | 149 | 106 |

შესრულებულია გაზის, ნავთობის, მანგანუმის მადნის მოპოვების, ფოლადის გამოდნობის, ნავთობის პირველადი გადამუშავების, ელექტროენერგიის, თუჯის, შავი ლითონების ნაგლინის, ლითონსაჭრელი ჩარხების, დაბალძაბვიანი აპარატების, მანქანური სადგურების, დიდი ელექტრომანქანების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ცვლადი დენის ელექტროძრავების, ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მათი სათადარიგო ნაწილების, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებისა და მათი სათადარიგო ნაწილების, სამასალე მერქნის (კოლმეურნეობების მიერ დამზადებული ხე-ტყის გარდა), სატვირთო ავტომობილების, ცელულოზის, ქაღალდის წარმოების გეგმა.

გადაჭარბებით შესრულდა მეტი წილი სახალხო მოხმარების საქონლის — ბამბის ქსოვილების, ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟის, წინდების, ყავის, ფეხსაცმლის, ტელევიზორების, ავეჯის გამოშვების დავალებანი.

ვერ შესრულდა ქვანახშირის მოპოვების, მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოსა და ძაფის, კაპროლაქტამის, სინთეზური ამიაკის, მაგნიტრალური ელმავლების, კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების წარმოების გეგმა.

სახელშეკრულებო ვალდებულებანი მთლიანად ვერ შესრულდა. მნიშვნელოვანი ჩამორჩენა დაუშვეს რესპუბლიკის მინერალური სასუქების წარმოებანი, ნავთობქიმიური მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობისა და მშენებლობის სამინისტროების გაერთიანებებმა და საწარმოებმა.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საწარმოო გაერთიანებებმა „აზოტმა", „ქიმბოჭკომ", „საქთევზმრეწვამ", სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვამ" და ზოგიერთმა სხვა საწარმომ ვერ უზრუნველყვეს შრომის ნაყოფიერების დაგეგმილი მატება.

მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებმა და გაერთიანებებმა მთლიანად ვერ გამოიყენეს საწარმოო სიმძლავრეები, ვერ შეასრულეს მატერიალური რესურსების დაზოგვის, თვითღირებულების შემცირების, დაგროვების დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი, უშვებდნენ დაბალხარისხოვან პროდუქციას. ნაკლოვანებებია მეორეული მატერიალური რესურსების გამოყენებაში.

## III. აგროსამრეწველო კომპლექსი

**აგროსამრეწველო** კომპლექსის დარგების მუშაკებმა, რომლებიც ახორციელებენ სასურსათო პროგრამის დავალებებს, მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სასურსათო საქონლის გამოშვების გადიდებას.

გადაჭარბებით შესრულდა მარცლეულის დამზადების სახელმწიფო გეგმა. აღებულია 65 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, 394 ათასი ტონა კარტოფილი, 604 ათასი ტონა ბოსტნეული, 719 ათასი ტონა ხილი, 912 ათასი ტონა აყურძენი, 135 ათასი ტონა ციტრუსები, 582 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სამარცვლე საშემოდგომო კულტურები 1986 წლის მოსავლისათვის დაითესა 124,5 ათას ჰექტარ ფართობზე, მზრალად მოიხნა 184,3 ათასი ჰექტარი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საგაზაფხულო კულტურების თესლის ფონდები მთლიანად არის მომარაგებული, უზრუნველყოფილია თესლის დიდი ნაწილის სათესი კონდიციები. სარემონტო საწარმოები ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას საგაზაფხულო თესვისათვის.

კიდევ უფრო განვითარდა **მეცხოველეობა.** ამ დარგის პროდუქტების **წარმოებას** ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

| | 1984 წ. | 1985 წ. |
|---|---|---|
| ხორცი (ნაკლავის წონა), ათასი ტონა | 157,6 | 168,6 |
| რძე, ათასი ტონა | 663,0 | 689,0 |
| კვერცხი, მილიონი ცალი | 782,9 | 821,0 |
| მატყლი (ფიზიკური წონა), ტონა | 6141 | 5962 |

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდა ძირითადად მიღწეულია პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების შედეგად. საზოგადოებრივ მეურნეობებში რძის საშუალი საფურაქე ძროხაზე 55 კილოგრამით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო სადღეღამისო წონამატება 2 პროცენტით გაიზარდა, ღორის წონამატება რამდენადმე შემცირდა.

**პროდუქტიული პირუტყვის ხულადობამ** ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა (ათასი სული):

| პროდუქტიული პირუტყვი | 1985 წლის 1 ივნისისთვის | 1986 წლის 1 ივნისისთვის |
|---|---|---|
| მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | 1652,6 | 1636,6 |
| მათ შორის ძროხა | 657,9 | 646,9 |
| ღორი | 1133,4 | 1148,9 |
| ცხვარი და თხა | 1955,7 | 1963,6 |

**მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვამ** ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა:

| | 1984 წ. | 1985 წ. |
|---|---|---|
| პირუტყვი და ფრინველი, ათასი ტონა: | | |
| ცოცხალი წონა | 164,9 | 172,7 |
| ნაკლავის წონა | 105 | 112 |
| რძე, ათასი ტონა | 296,7 | 301,1 |
| კვერცხი, მილიონი ცალი | 544,0 | 561,7 |
| მატყლი (წმინდა ბოჭკოზე გადაანგარიშებით) ათასი ტონა | 3,8 | 3,7 |

1984 წელთან შედარებით პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესყიდვა (ცოცხალი წონა) 4,7 პროცენტით, რძისა — 1,5 პროცენტით, კვერცხისა — 3,2 პროცენტით გაიზარდა. გადაჭარბებით შესრულდა პირუტყვისა და ფრინველის, რძის, კვერცხისა და მატყლის შესყიდვის გეგმები.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კვლავ იხვეწებოდა შრომის ორგანიზაციის სრულყოფა ბრიგადული იჯარის გამოყენების ბაზაზე, ინერგებოდა სამეურნეო ანგარიში.

გაიზარდა ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების რენტაბელობა. 1985 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოგებამ მთელი საქმიანობის მიხედვით 280 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

აგროსამრეწველო კომპლექსის **კვების დარგების** მუშაკებმა ძირითადად უზრუნველყვეს სასურსათო პროდუქციის გამოშვების დაგეგმილი მოცულობა.

| სასურსათო პროდუქცია | წარმოებულია 1984 წ. | 1985 წ. |
|---|---|---|
| ხორცი (სამრეწველო გამომუშავება), ათასი ტონა | 249,0 | 267,9 |
| ძეხვეული, ათასი ტონა | 35,3 | 35,9 |
| სასურსათო თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიონი მანეთისა | 67,0 | 56,3 |
| ერბო-კარაქი, ათასი ტონა | 1,1 | 1,2 |
| მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, ათასი ტონა | 205,2 | 209,6 |
| მარგარინის პროდუქცია, ათასი ტონა | 34,3 | 37,2 |
| ფხვნილი შაქარი, ათასი ტონა | 52,0 | 49,7 |
| მცენარეული ზეთი, ათასი ტონა | 9,8 | 10,8 |
| საკონდიტრო ნაწარმი, ათასი ტონა | 60,8 | 64,1 |
| ჩაი ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული, ათასი ტონა | 83,6 | 91,3 |
| უალკოჰოლო სასმელები, მილიონი დკლ. | 11,1 | 12,9 |
| მინერალური წყლები, მილიონი ნახევარი ლიტრი | 414,2 | 376,0 |
| კონსერვი, მილიონი პირობითი ქილა | 673,7 | 726,4 |
| მათ შორის ხილბოსტნეულისა | 654 | 706,7 |

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის გაერთიანებებმა და საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი.

**სატყეო მეურნეობაში** ტყის აღდგენითი სამუშაოები სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში განხორციელდა 29,5 ათას ჰექტარ ფართობზე, ტყის მოწყობა — 360,4 ათას ჰექტარ ფართობზე. კიდევ უფრო განმტკიცდა აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სოფლის მეურნეობას **მიაწოდეს** 223,6 ათასი ცხენის ძალის საერთო სიმძლავრის 3263 ტრაქტორი, 180 მარცვალასაღები, 38 სიმინდის ასაღები, 10 კარტოფილასაღები კომბაინი, 83 საწვიმებელი მანქანა და დანადგარი, 10 უხეშში საკვების დასაქუცმაცებელი მანქანა. მინერალური სასუქების მიწოდებამ (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით) 246,7 ათასი ტონა, ქიმიური საკვები დანამატების მიწოდებამ — 1,5 ათასი ტონა შეადგინა.

**კაპიტალურმა დაბანდებამ** აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში, აგრეთვე წარმოების საშუალებათა მწარმოებელ დარგებში 882 მილიონი მანეთი შეადგინა. აქედან 644 მილიონი მოხმარდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, მათ შორის 148 მილიონი მანეთი — სამელიორაციო მშენებლობას.

სოფლის მეურნეობაში აშენდა 15 ათასი სული პირუტყვის შეანანავად გათვალისწინებული მეცხოველეობის საგომები, მექანიზებული ფერმები და კომპლექსები, 81 ათასადგილიანი საფრინველეები, 50,6 ათასი მოქცეულისათვის, აგრეთვე სახორცე მიმართულების — წელიწადში 5,5 მილიონი ფრთა ფრინველისათვის გათვალისწინებული მეფრინველეობის ფაბრიკები, 23 ათას კუბურ მეტრზე მეტი ტევადობის სასილოსე და სასენაჟე ნაგებობანი და სხვა ობიექტები.

საექსპლოატაციოდ გადაეცა 15 ათასი ჰექტარი სარწყავი და დაშრობილი მიწები, გასარწყავებულია 21,6 ათასი ჰექტარი საძოვრები, განხორციელდა კულტურტექნიკური სამუშაოები 24,8 ათას ჰექტარ სოფლის მეურნეობის სავარგულებში, რომლებიც არ საჭიროებენ დაშრობას.

საექსპლოატაციოდ გადაეცა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მინერალური სასუქებისა და საკვები დანამატების საწარმოო, აგრეთვე ჩაის ფოთლის, ყურძნის პირველადი გადამუშავების ახალი სიმძლავრეები, აშენდა ელევატორი, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცავები.

მიღწეულ წარმატებებთან ერთად აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კვლავინდებურად ვერ ასრულებენ სახელმწიფოსათვის მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმებს, ურიგდებიან რესურსების არაეფექტურად გამოყენებას, ტექნიკის მოცდენას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგებს, ვერ უზრუნველყოფენ სამეურნეო ანგარიშის ქმედითობას. ვერ შესრულდა უხეშში და წვნიანი საკვების დამზადების გეგმა. გადამმუშავებელი დარგების ცალკეულმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ მიაღწიეს კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებას. მთლიანად არ არის ათვისებული გადამუშავებელი ბაზის განვითარებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი.

## IV. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

**ცალკეულ** სახეობათა ტრანსპორტის ტვირთზიდვასა და ტვირთბრუნვას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

| ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთზიდვა და ტვირთბრუნვა | შესრულდა 1985 წელს | 1985 წელი პროცენტობით, 1984 წელთან შედარებით |
|---|---|---|
| **ტვირთზიდვა,** მილიონი ტონა | | |
| რკინიგზის ტრანსპორტი | 40,4 | 104,7 |
| საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი | 175,8 | 101,6 |
| ნავთობსადენები და ნავთობპროდუქტსადენები | 0,9 | 50 |
| **ტვირთბრუნვა,** მილიარდი ტონა-კილომეტრი | | |
| რკინიგზის ტრანსპორტი | 13,5 | 101,5 |
| საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი | 3,0 | 103,3 |
| ნავთობსადენები და ნავთობპროდუქტსადენები | 0,3 | 50 |
| სსრ კავშირის გაზის მრეწველობის | | |
| სამინისტროს „საქტრანსგაზის" გაზსადენები | 0,8 | 114,3 |

ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 8,5 პროცენტით, მგზავრთბრუნვა — 4 პროცენტით გაიზარდა.

**რკინიგზის ტრანსპორტმა** თავი გაართვა როგორც გაგზავნის საერთო მოცულობის, ისე **მეტი წილი** უმნიშვნელოვანესი ტვირთის გაგზავნის, ტვირთბრუნვისა და მგზავრთბრუნვის წლიურ გეგმას. გაიზარდა ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობა და ვაგონის სტატისტიკური დატვირთვა. ამავე დროს ვერ შესრულდა მინერალური სასუქებისა და იმპორტული ტვირთის გაგზავნის დავალებანი, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია სამგზავრო და სატვირთო მატარებლების მოძრაობის გრაფიკების დარღვევები.

**საზღვაო ტრანსპორტმა** გადაჭარბებით შეასრულა საზღვარგარეთ ნაოსნობაში ტვირთზიდვისა და დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა გეგმა; ისინი შესაბამისად გაიზარდა 13,4 და 4,3 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება 8,3 პროცენტით გადიდდა, გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გადიდების ვალდებულებანი.

**საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა** შეასრულა ტვირთზიდვის, მგზავრთა გადაყვანის, ტვირთბრუნვის, მგზავრთბრუნვისა და მსუბუქი ტაქსების ფასიანი გარბენის გეგმა. წინა წელთან შედარებით ტვირთზიდვა გაიზარდა 1,6 პროცენტით, მგზავრთა გადაყვანა — 6,1 პროცენტით, ტვირთბრუნვა — 3,3 პროცენტით, მგზავრთბრუნვა — 8 პროცენტით; რამდენადმე შემცირდა მსუბუქი ტაქსების ფასიანი გარბენი.

ნავთობსადენმა და ნავთობპროდუქტსადენმა ტრანსპორტმა შეამცირა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატუმბვისა და ტვირთბრუნვის მოცულობა. ვერ შესრულდა ნავთობპროდუქტების გადატუმბვისა და ტვირთბრუნვის გეგმები.

სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს „საქტრანსგაზის" გაზსადენებმა ვერ უზრუნველყვეს სასაქონლო გაზის მიწოდების გეგმა.

**საჰაერო ტრანსპორტმა** გადაჭარბებით შეასრულა მგზავრთბრუნვის, მგზავრთა გადაყვანის, ტვირთზიდვისა და სახალხო მეურნეობის დარგების მომსახურების გეგმა. გადაყვანილია 2,4 მილიონზე მეტი კაცი. საავიაციო-ქიმიური სამუშაოები განხორციელდა 537,6 ათას ჰექტარზე.

მაგრამ ტრანსპორტით მთელ რიგ სახეობათა ტვირთის გადაზიდვაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს მთლიანად ვერ უზრუნველყოფდნენ; დიდია დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დროს მოძრავი შემადგენლობის არამწარმოებლური მოცდენები და უქმი გარბენები.

**კიდულმა ბაგირგზებმა** გადაჭარბებით შეასრულეს მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრთბრუნვის გეგმები; ისინი შესაბამისად 6,9 და 6,8 პროცენტით გაიზარდა.

**კავშირგაბმულობის საწარმოებმა** შეასრულეს პროდუქციის მოცულობის გეგმა და მიაღწიეს მის მატებას 4,9 პროცენტით.

დავალებათა შესაბამისად გაიზარდა მონაცემების გადაცემის საერთო-სახელმწიფო სისტემის არხებისა და სატელეგრაფო ქსელის კომუტაციის კვანძების ტევადობა, საკვანძო საფოსტო საწარმოთა კომპლექსური მექანიზაცია. ვერ შესრულდა საქალაქო და სასოფლო სატელეფონო სადგურების ტევადობის ზრდის გეგმა.

გაფართოვდა რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო სადგურების ქსელი.

## V. კაპიტალური მშენებლობა

**განხორციელდა** საწარმოო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ვრცელი პროგრამა. **ძირითადი ფონდების** ამოქმედება 146 მილიონი მანეთით გაიზარდა. **მწყობრში ჩადგა 8 ახალი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო.**

**მანქანათმშენებელ კომპლექსში** ამოქმედდა მაგისტრალური ელმავლების, სატვირთო ავტომობილების, ავტომობილების ძრავების, ავტომობილებისა და ტრაქტორების მისაბმელებისა და ნახევრად მისაბმელების, მოტობლოკების, ცვლადი დენის ელექტროძრავების და სხვა პროდუქციის საწარმოო სიმძლავრეები.

**საკონსტრუქციო მასალებისა და მათთვის ნედლეულის მწარმოებელ დარგებში** საექსპლოატაციოდ გადაეცა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სატუმბ-საკომპრესორო მილების უბანი, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" მანგანუმის მადნის მოპოვებისა და მისგან კონცენტრატის წარმოების სიმძლავრეები, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების საწარმოო სიმძლავრეები, ამოქმედდა ასაწყობი რკინაბეტონის ნაწარმის, საშენი აგურისა და სხვა პროდუქციის ახალი საწარმოო სიმძლავრეები.

**სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგებში** მწყობრში ჩადგა ჭინვალის კომპლექსური ჰიდროკვანძი, 2,5 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები, ნავთობის ჭაბურღილები, ნავთობტუგადოობები.

**გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის:** ქსოვილების, უქსოვი ფართლეულის, შეკერილი ნაწარმის საწარმოო სიმძლავრეები.

საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საქალაქო ავტომატური სატელეფონო სადგურები, კავშირგაბმულობის საქალაქთაშორისო საკაბელო ხაზები, რაიონული სტამბები, ვაიხსნა სამუშაო მოძრაობა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზზე.

კაპიტალურმა დაბანდებამ სახალხო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 2719 მილიონი მანეთი შეადგინა. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტი 100,2 პროცენტით შესრულდა.

სახელმწიფო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ შესრულებული საიჯარო სამუშაოების მოცულობა 7 პროცენტით გაიზარდა, გეგმა 102 პროცენტით შესრულდა.

ამავე დროს დაძლეული არ არის კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვა და ობიექტების აგების ნორმატიული ფონდების გადახარჯვა, ვერ შესრულდა ძირითადი ფონდების, მთელი რიგი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების გეგმები. ზოგიერთმა ორგანიზაციამ თავი ვერ გაართვა საიჯარო სამუშაოთა მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების დავალებებს.

## VI. ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

**ეკონომიკის** ზრდის საფუძველზე უზრუნველყოფილია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

ეროვნული შემოსავლის სამი მეოთხედი გამოყენებულია მოხმარებისათვის, საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დანახარჯების გათვალისწინებით კი უშუალოდ ხალხის კეთილდღეობას მოხმარდა ეროვნული შემოსავლის ოთხი მეხუთედი.

გაიზარდა მოსახლეობის **რეალური შემოსავალი.** სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ფულადმა ხელფასმა შეადგინა 167 მანეთი 1984 წლის 162 მანეთთან შედარებით. კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 135 მანეთიდან 139 მანეთამდე მოიმატა. დამთავრდა საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სპეციალისტთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების გადიდება. მეცხოველეობაში დასაქმებულ მუშებს დაუწესდათ ხელფასის დანამატები და დამატებითი შვებულება მოცემულ მეურნეობაში მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის.

დაწესებულია მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის ცალკეული კატეგორიების მუშაკთა ხელფასზე დამატებითი შეღავათები.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო **მისაცემლები და შეღავათები** 2,3 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 92 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1984 წელს. ამ მისაცემლებისა და შეღავათების გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი თვეში 228-დან 235 მანეთამდე გაიზარდა.

კიდევ უფრო გაუმჯობესდა დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები.

კოლმეურნეობების წევრებს გაუდიდდათ მოხუცებულობის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიების მინიმალური ოდენობა. პენსიები გაუდიდდათ მუშებს, მოსამსახურეებსა და მათ ოჯახებს, რომლებიც დაინიშნათ თვეში 60 მანეთამდე 10 წელზე მეტი ხნის წინათ, მათი დონე მიუახლოვდა პენსიების ოდენობას, რომლებიც ამჟამად უწესდებათ ანალოგიური პროფესიებისა და კვალიფიკაციის მუშაკებს. განხორციელდა საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების სხვა დამატებითი ღონისძიებანი.

იფარებოდა სახელმწიფო შინაგანი სესხის ობლიგაციები.

მშრომელებმა თავიანთი **ანაბრები შემნახველ სალაროებში** გაადიდეს 436 მილიონი მანეთით.

დაიწყო მუშაობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის რეალიზაციისათვის.

მოსახლეობის მიერ მატერიალური დოვლათის და მომსახურების მოხმარებამ დაახლოებით 7 მილიარდი მანეთი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 3,7 პროცენტით გაიზარდა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** შეადგინა 5340 მილიონი მანეთი და 1984 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში გაიზარდა 179 მილიონი მანეთით. რამდენადმე გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება სურსათ-სანოვაგით და არასასურსათო საქონლით. მაგრამ საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა არ შესრულებულა რესპუბლიკის ქალაქებსა და მთელ რიგ რაიონებში მზადი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ავეჯის, ელექტროტექნიკური საქონლისა და სამრეწველო საქონლის-ზე ერთ, ან ორ, ან ოთხ-ექვსი თვეა ვერ დაკმაყოფილდება.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში **ცალკეული საქონლის გაყიდვის ზრდას** ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

| სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ცალკეული საქონლის გაყიდვის ზრდა | 1985 წელი პროცენტობით, 1984 წელთან შედარებით |
|---|---|
| პურპროდუქტები | 98 |
| ხორცი და ხორცის პროდუქტები | 104 |
| თევზი და თევზის პროდუქტები | 92 |
| ერბო-ქარაქი | 105 |
| მცენარეული ზეთი | 101 |
| მარგარინის პროდუქცია | 91 |
| მოუხდელი რძის პროდუქცია | 103 |
| ყველი | 96 |
| კვერცხი | 102 |
| შაქარი | 91 |
| საკონდიტრო ნაწარმი | 104 |
| ჩაი | 100 |
| კარტოფილი | 90 |
| ბოსტნეული | 100 |
| ხილი და ციტრუსები | 88 |
| ტანსაცმელი, საცვლები და ქსოვილები | 102 |
| ტრიკოტაჟის ნაწარმი | 103 |
| წინდები | 100 |
| ფეხსაცმელი | 104 |
| ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი | 100 |
| საპონი და სინთეზური სარეცხი საშუალებანი | 100 |
| ავეჯი | 103 |
| მაცივრები და საყინავები | 94 |
| მათ შორის 200 კუბური დეციმეტრი და მეტი ტევადობის კამერიანი მაცივრები | 98 |
| სარეცხი მანქანები | 115 |
| ელექტრომტვერსასრუტები | 109 |
| საათები | 100 |
| ფოტოაპარატები | 100 |
| რადიომიმღები მოწყობილობანი | 92 |
| ტელევიზორები | 100 |
| მათ შორის ფერადგამოსახულებიანი | 102 |
| მაგნიტოფონები | 106 |
| ველოსიპედები და მოპედები | 112 |
| მოტოციკლები და მოტოროლერები | 97 |
| მსუბუქი ავტომობილები | 94 |
| ხე-ტყის მასალა | 122 |
| შიფერი | 100 |
| გადასახურავი ფურცლოვანი ფოლადი და სხვა ლითონნაწარმოები | 117 |

ხორციელდება ლითონისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი. ივნის-დეკემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა შემცირდა 36 პროცენტით, ღვინისა და არყის პროდუქციით მოვაჭრე მაღაზიების რიცხვი — 1,7-ჯერ.

მოსახლეობისათვის **საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა** 1984 წელთან შედარებით გაიზარდა 7,1 პროცენტით, გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული; სოფლად მატებამ შეადგინა 8,2 პროცენტი, რაც გათვალისწინებულზე ნაკლებია. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს; არის ნაკლოვანებანი ხარისხიანად და ვადაში სამუშაოთა შესრულების საქმეში.

დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე **აშენდა 1820 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის 26,5 ათასი ახალი კეთილმოწყობილი ბინა, აქედან სოფლად 482 ათასი კვადრატული მეტრი. საბინაო პირობები გაუმჯობესდა 150 ათასმა კაცმა.**

საექსპლოატაციოდ გადაეცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 25,6 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელთა დაწესებულებანი 8,9 ათასი ბავშვისათვის, საავადმყოფოები — 817 ავადმყოფისათვის, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი ცვლაში 1095 ავადმყოფის მისაღებად და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ბევრი სხვა ობიექტი.

მიმდინარეობდა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა. თბილისში გაიხსნა მეტროპოლიტენის სამი ახალი სადგური.

ხორციელდებოდა ატმოსფერული ჰაერის

# ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: გაგრა. სანატორიუმი „მზიური“; აგროსამრეწველო გაერთიანების სოფლტექნიკის საცალო ბაზა.

ი. ᲯᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

**გვესაუბრება პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე Ვ. Ბ. ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲕა:**

**ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ** მშრომელებმა ვადამდე თერთმეტი დღით ადრე შეასრულეს გასული ხუთწლედის ძირითადი დავალებანი.

ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოებში ახალი მანქანებისა და მოწყობილობის, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის შედეგად უზრუნველყოფილია მრეწველობის განვითარების სტაბილური ტემპი. წარშან 650 მილიონ მანეთისაზე მეტის სამრეწველო პროდუქცია გამოვუშვით, მაშინ როცა 1978 წელს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 450 მილიონ მანეთს უდრიდა. 1981-1985 წლებში საერთო-საერთო პროდუქციის წარმოებამ 29,3 პროცენტით გადააჭარბა მეათე ხუთწლედში მიღწეულ დონეს და 90 მილიონი მანეთით — სოციალისტური ვალდებულებით დასახულ მიჯნას. გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის დავალება. თუ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს გამოვეშვით 6,6 მილიონი მანეთის ნაწარმი ხარისხის სახელმწიფო ნიშნით, უკვე შარშან 1 დეკემბრისთვის მისმა მოცულობამ 12 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

**იმაზე, თუ როგორ აქვთ საქმეები მეურნეობის მშრომელებს, გვესაუბრება აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკური აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე ს. Ა. ᲡᲐᲐᲙᲘᲐᲜᲘ:**

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, სპეციალიზაციის, სათესი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგაობის სტრუქტურის სრულყოფის გზით აფხაზეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა. ხუთი წლის მანძილზე მოიკრიფა 505,5 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედში მეათესფან შედარებით მისი საშუალო წლიური წარმოება გაიზარდა 20 და მეტი ტონით. უკვე ორი წელიწადია ზედიზედ აფხაზი მეციტრუსეები ახალი ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ. სულ გასულ ხუთწლედში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 168 მილიონიდან 274 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. სოფლის მეურნეობის წარმატებამ უზრუნველყო სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამამუშავებელი სამრეწველო წარმოების რიტმული და შეუფერხებელი მუშაობა. ამის შედეგად წარმოების რენტაბელობამ გათვალისწინებულ პარამეტრებს გადააჭარბა.

— ინტენსიურად ვითარდება ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერება, — **გვეუბნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი Გ. Ა. ᲫᲘᲫᲐᲠᲘᲐ.** — საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად აქ წარმატებით მოქმედებს დაახლოებით ოცი სამეცნიერო ორგანიზაცია და ორი უმაღლესი სასწავლებელი. ჩვენმა ინსტიტუტმა წარმატებით იმუშავა 1985 წელს და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედში. ამაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის მეთაურ სამეცნიერო ინსტიტუტებს.

ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებში ლიტერატორთა წვლილის შესახებ **აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ Მ. Ტ. ᲚᲐᲡᲣᲠᲘᲐᲛ თქვა:**

— რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა აფხაზეთის სახალხო პოეტის ბაგრატ შინკუბასათვის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მინიჭება აფხაზურ ენაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის თარგმნისათვის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე“ მიენიჭათ ცნობილ აფხაზ მწერლებს ივანე თარბას და ალექსი გოგუას.

## ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘᲡ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲔᲑᲘ

**ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ** რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკებმა მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს მუშაობა დაიწყეს შრომითი კოლექტივების სამეურნეო საქმიანობის გაფართოებისა და დაინტერესების გადიდების ექსპერიმენტის პირობებში. მათ აქვთ საიმედო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რის მეოხებითაც აფხაზეთის მცხოვრებლებსა და სტუმრებს ისინი 600-ზე მეტი სახეობის მომსახურებას უწევენ.

მეთორმეტე ხუთწლედში განვაგრძობთ მუშაობას საყოფაცხოვრებო სამსახურის ობიექტების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისთვის. მათი მშენებლობისა და რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილია 6.385 ათასი მანეთი.

დასახულია საყოფაცხოვრებო სამსახურის ობიექტების ფართო ქსელის მშენებლობა სოფლად, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები მწყობრში ჩადგება ექვს სოფელში.

**რ. ᲮᲘᲜᲙᲣᲑᲐ,**
**აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი.**

## ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ: ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

**ᲛᲔᲝᲥᲕᲔ** წელია მუშაობს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ქვეყანაში ერთ-ერთი უველაზე ახალგაზრდაა. ამჟამად აქ ექვს ფაკულტეტზე, ოცდათვრამეტ კათედრაზე ამზადებენ 19 პროფილის სპეციალისტებს.

უკანასკნელ ხანს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბევრი რამ გაკეთდა სასწავლო-მეთოდიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. შეიქმნა ატომური ფიზიკის, ბირთვული ფიზიკის, ბიოფიზიკის, ბიოტექნოლოგიის, გამოთვლითი მათემატიკის ლაბორატორიები. რაკალური ნაბიჯები გადაიდგა უძაღლესი სასწავლებლის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, რაშიც დიდ დახმარებას გვიწევენ თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის უნივერსიტეტები. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობის შესახებ.

რთული და პასუხსაგები ამოცანებია დასახული აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნისტების, მთელი კოლექტივის წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილი ივნისის თათბირის დადგენილებათა შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით პარტიულმა კომიტეტმა და რექტორატმა შეიმუშავეს საწარმოო კოლექტივებთან შემოქმედებითი კავშირის გაფართოების გეგმა, რათა პრაქტიკული დახმარება გავუწიოთ მათ შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, ინტენსიური ტექნოლოგიის დანერგვის სქმეში.

კათედრებზე მუშავდება პლაზმის ფიზიკისა და ნახევარგამტარების, გამოთვლითი მათემატიკის, ბიოფიზიკის, მანქანების მექანიკისა და სხვა აქტუალური საკითხები. მეთორმეტე ხუთწლედში განმტკიცდება წარმოებასთან კავშირურთიერთობა. პარტიის საპროგრამო დოკუმენტების პროექტები ხომ ამას გვისახავენ მიზნად. ჩვენ გვაქვს სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებასთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გამოცდილება.

**Შ. ᲐᲕᲘᲫᲑᲐ,**
**აფხაზეთის გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.**

## ᲥᲐᲚᲐᲥ-ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

**ᲣᲙᲕᲔ** ამოქმედდა გაგრის ასაქცევი გზის პირველი რიგი და გრძელდება მეორე რიგის მშენებლობა. ათ კილომეტრამდე სიგრძის ამ მაგისტრალის საექსპლოატაციოდ გადაცემა საშუალებას მოგვცემს ქალაქში გავიყვანოთ ტროლეიბუსების ხაზი, რაც კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება გაგრის სანიმუშო სოციალისტურ კურორტად გადაქცევისათვის ბრძოლაში.

ქალაქის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტთა ინიციატივასაც, რომელიც მათ გამოიჩინეს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისთვის მზადების პერიოდში.

საქმე ეხება ქალაქში უსაგზაროდ ჩამოსული დამსვენებლების მომსახურებისთვის გაგრაში ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანება „დასვენების“ შექმნას. ამ ფირმამ წელიწადზე ნაკლებ დროში ყოველგვარი დოტაციის მიღებლად გამალა თავისი საქმიანობა დამსვენებელთა პრაქტიკულად მთელი კომპლექსით მომსახურებისათვის. იგი მოემსახურა 213 ათას კაცს და 727 ათასი მანეთი მოგება ნახა. როგორც ხედავთ, ექსპერიმენტმა გამართლა დანიშნულება. სამომავლოდ მოსალოდნელია, რომ შემოსავალი ორ მილიონ მანეთამდე გაიზრდება, მნიშვნელოვნად მაღლდება საკურორტო სერვისის დონე. მიღებულ სახსრებს გამოიყენებთ ქალაქის კეთილმოწყობისათვის და ნაწილობრივ ფირმის მატერიალური ბაზის განვითარებისათვის.

**Ე. ᲙᲐᲪᲐᲕᲐ,**
**პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.**

## ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

**ᲒᲐᲜᲐᲕᲚᲘᲚᲘ** ხუთწლედი ჩემთვის წარმატების ხუთწლედი გახლდათ: მოვკრიფე 90 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35 ტონისა. ჩაფიქრებული მაქვს ახალ ხუთწლედში სამშობლოს მივცე სულ ცოტა ასი ტონა ჩაი. ჩვენი კოლმეურნეობა საუკეთესო გუნებაგანწყობილებაზე არიან. გასულ ხუთ წელიწადში გუდაუთის რაონმა სახელმწიფოს მიჰყიდა 44 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი 36 ეგზემი _გათვალისწინებული 36 ათასი ტონის ნაცვლად, და ამ რაოდენობის 47 პროცენტი ჩვენი კოლმეურნეობის წილად მოდის, მაგრამ დურიფშელები მოუსვენარი ხალხი ვართ. განვიხილეთ რა მეთორმეტე ხუთწლედის საკონტროლო ციფრები, მეჩაიეებმა გადავწყვიტეთ დავძლიოთ 1986 წლისათვის დასახული მიჯნები და კოლმეურნეობის გამგეობას ვთხოვეთ ჩვენი ვალდებულებები შეეტანათ სახელმწიფო გეგმაში [illegible] 30 პროცენტით გადავაჭარბოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობას.

გუდაუთელმა მშრომელებმა ღირსეული საჩუქარი მოუმზადეს სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას: შეავსრულეთ სიმინდის, ბოსტნეულის, ყურძნის, ციტრუსების, ხილის, ხორცისა და რძის დამზადების მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმები. თუ ორი წლის წინათ რაიონში მხოლოდ ოთხი მილიონერი კოლმეურნეობა იყო, ახლა ასეთი მეურნეობა ათია.

**ᲜᲝᲠᲐ ᲡᲐᲯᲐᲜᲘᲐ,**
**ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „დურიფშის“ მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.**

## ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲞᲘᲨᲐᲠᲗᲐᲜ

**ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ** აეროპორტში, სადაც შარშანდელი საზაფხულო ნაგაგაციის გახსნისათვის მთლიანად დამთავრდა ასფრენ-დასაჯდომი ზოლის რეკონსტრუქცია, პირველად ამიერკავკასიაში აფხაზეთის დედაქალაქში მიიღო აერობუსი „ილ-86“. ამ საჰაერო გიგანტებმა მოსკოვიდან უკვე ჩამოიყვანეს 30 ათასზე მეტი დამსვენებელი.

იზრდება სართულები სოხუმის ლაკვარდოვან ყურეშიც. ახალ ხუთწლედში „ნოვოროსისკზღვამშენის“ ტრესტის მექანიზებული რაზმები დაამთავრებენ ახალი საზღვაო ვაგზლის მშენებლობას. მისი კომპლექსი ისეა გაანგარიშებული, რომ ერთდროულად მიიღებს ორი ათასზე მეტ მგზავრს.

**Ვ. ᲙᲐᲞᲐᲣᲜᲘᲫᲘ,**
**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი:**

# ᲬᲘᲜ ᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

**ᲐᲭᲐᲠᲘᲡ** კომუნისტები, ყველა მშრომელი ახალი შრომითი გამარჯვებებით ეგებებიან სკკპ XXVII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას. ისინი სამართლიანი სიამაყის გრძნობით უპატკიებენ სამშობლოს: ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა და ვალდებულებანი. დავალების გადამეტებით გამოშვებულია 113 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. დიდია ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის ხვედრითი წილი. დღეს აჭარის ასსრ რესპუბლიკაში გამოშვებული პროდუქციის 19,9 პროცენტი საპატო ხუთკუთხედით აღინიშნება. ეს როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო მაჩვენებლებზე მეტია.

ჩვენი საწარმოები სამშობლოს აძლევენ ნავთობპროდუქტებსა და ავეთის მრეწველობისათვის განკუთვნილ მანქანებს, საზღვაო გემებსა და ელექტროტექნიკურ ხელსაწყოებს, სამედიცინო პრეპარატებსა და ხილის კონსერვებს, აგრეთვე მასალასა და ავეჯს, ფეიხსაცმელსა და შეკერილ ნაწარმს. აჭარის ფაბრიკა-ქარხნებისა და კომბინატების მარკეთ აღნიშნული პროდუქცია საექსპორტოდ იგზავნება მსოფლიოს 66 ქვეყანაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ავტონომიურ რესპუბლიკაში აღებულია წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კურსი. ყოველ მესამე საწარმოში ხორციელდება ძირეული რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. თუ გასულ წლებში ძირითადად სრულყოფდით ტექნოლოგიურ მოწყობილობას, ახლა მას ვცვლით უკანასკნელი თაობის დიდმწარმოებლური ტექნიკით.

ღონიერდება აგროსამრეწველო კომპლექსი. აჭარა ქვეყანაში სუბტროპიკული მემცენარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რაიონი, ჩაისა და ციტრუსების უდიდესი მწარმოებელია. ჯერ კიდევ 1984 წელს შეავსრულეთ ციტრუსების დამზადების ხუთწლიანი გეგმა, გასულ აგვისტოში კი ჩაის ნედლეულის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა. გადაჭარბებით შეავსრულეთ ბოსტნეულის, თამბაქოს, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ხუთწლიანი დავალებანი.

დადებითი ძვრები მოხდა მშენებლობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაში, ეკონომიკის სხვა დარგებში.

ერთობლივი შრომა, რომლის მიზანია ავტონომიური რესპუბლიკის შემდგომი აყვავება, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ 80-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები, აჭარელ მშრომელებს განუმტკიცებს ერთიანი ოჯახის გრძნობას, თითოეულ მშრომელს უნერგავს პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის საუკეთესო თვისებებს.

მაგრამ ჩვენ კომუნისტი ლენინელები არ ვიქნებოდით, წარმატებების მიღმა რომ არ ვხედავდეთ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, გადაუჭრელ პრობლემებსა და გამოუყენებელ რეზერვებს. და, რა თქმა უნდა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატები აჭარის პარტიული ორგანიზაციისაგან პარტიულ ფორუმზე თვითკრიტიკულად ილაპარაკებენ შემცირების მიმართულებები. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და შემდეგ სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღეებში სანაოსნოს სატრანსპორტო გემები დაზოგილი საწვავით იმუშავებენ.

## „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ“ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲯᲘᲨᲘᲐ

**ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ** აჭარის ასსრ აგროსამრეწველო კომიტეტის შრომის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის განყოფილების გამგე **Თ. ᲒᲘᲠᲩᲣᲐᲫᲔ:**

— ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირეფად მიმართულებათა პროექტში ჩაწერილია: გავზარდოთ 1990 წელს საქართველოს რესპუბლიკაში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება 650 ტონამდე. ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ჩაის საერთო მოცულობიდან 95 პროცენტი საქართველოს წილად მოდის და, ბუნებრივია, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი სიტყვა უნდა თქვან ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა.

ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა უშუალოდ დამოკიდებულია ახალი, უხვმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი ჯიშების გამოყვანასა და წარმოებაში დანერგვაზე.

ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ეწევიან ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ჩაქვის ფილიალის მეცნიერები. შერჩევისა და ვეგეტაციული გამრავლების მეთოდით მათ მიიღეს ახალი ჯიშის ჩაი „კოლხეთი“. მოსავლიანობით იგი 50-60 პროცენტით აღემატება ადგილობრივი პოპულაციის ჩაის და 25-30 პროცენტით — სელექციურ ჰიბრიდულ ჯიშებს. „კოლხეთი“ გამოირჩევა ადრეული ვეგეტაციით, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობით, ბუჩქის ყლორტები დიდი, ნაზი და ერთგვაროვანია. „კოლხეთის“ ჯიშის მზა პროდუქცია შეესატყვისება საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს. იგი გემრიელი და სურნელოვანია, დიდი რაოდენობით შეიცავს ტანინსა და ესტრატენტ ნივთიერებებს.

ახლა აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში „კოლხეთს“ დაახლოებით 100 ჰექტარი უკავია. მეთორმეტე ხუთწლედში ეს ფართობი გაორკეცდება. ოჩხამურელი მეჩაიეები უკვე ახლა ამზადებენ პლანტაციებს ახალი ნარგავებისათვის. „კოლხეთის“ ჯიში გაშენდება ქობულეთის რაიონის სოფლების ხუცუბნის და ბობოყვათის, ხელვაჩაურის რაიონის ახალშენის და ჩაისუბნის კოლმეურნეობებში, ბევრ სხვა მეურნეობაში.

მეცნიერ სპეციალისტთა აზრით, ამ პერსპექტიული ჯიშის ფართოდ დანერგვა აჭარას საშუალებას მისცემს მომავალში წელიწადში აწარმოოს 120 ათას ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — თითქმის 50 ათასი ტონით მეტი, ვიდრე ახლა. ეს ავტონომიური რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი განვითარების მეტად მნიშვნელოვანი რეზერვია.

## ᲐᲮᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ

**ᲡᲐᲪᲓᲘᲚᲐᲡᲢᲐᲪᲘᲝᲓᲔ** გადაეცა ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის ქარხნის ახალი საწარმოო კორპუსი. მისი საპროექტო სიმძლავრეა 3 მილიონი მანეთის პროდუქცია წელიწადში. ეს არის მტვერსასრუტების შლანგები და სხვადასხვა პლასტმასის ნაწარმი. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის წინ ახალი კორპუსის საამქროებში დააყენეს სამრეწველო მტვერსასრუტების უფრო მოსახერხებელი და ნაკლებ მასალატევადი მტვერსასრუტების უკარკასო შლანგების გამოსაშვები ნახევრადავტომატური ხაზი.

ბათუმის ახალმა საკონსერვო ქარხანამ „ნარინჯმა“, რომელიც გასული წლის დამლევს ამოქმედდა, გამოუშვა მიმდინარე სეზონის მოსავლის პირველი მილიონი ბოთლი მანდარინის წვენი. საქართველოს კომუნისტთა ფორუმის გახსნისათვის აქ მუშაობა დაიწყო კიდევ ერთმა მანდარინის მურაბის ავტომატიზებულმა ტექნოლოგიურმა ხაზმა. მთავრდება ზვინულად დაფასოებული ციტრუსის ჯემების დამზადების ხაზის დამონტაჟება.

## ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ — ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ

**ᲥᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘᲡ** რაიონის სოფელ ხუცუბანში დამთავრდა ახალი სამუსიკო სკოლის შენებლობა. კოლმეურნეობს სახსრებით აგებული შენობა სოფლის მშვენება გახდა.

ბავშვებს მეცადინეობისათვის გამოყოფილი აქვთ ნათელი საკლასო ოთახები, კარგად აღჭურვილი საკონცერტო დარბაზი. სკოლაში ჯერჯერობით ორი განყოფილებაა — საფორტეპიანო და საორკესტრო. ნავარაუდევია აქ გაიხსნას ვიოლინოს, ბაიანისა და აკორდეონის დაკვრის შემსწავლელი განყოფილებებიც.

მაგრამ არსებობს პედაგოგთა კადრების პრობლემა. ბევრი ბათუმიდან ჩამოდის. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში მიზნობრივი ადგილები გამოყვეს ხუცუბნელი აბიტურიენტებისათვის, რათა განათლების მიღების შემდეგ ისინი სამუშაოდ დაბრუნდნენ მშობლიურ სოფელში.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ:** ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა; ქალაქის ერთ-ერთი კუთხე.

**Ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ** ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

**Შ. ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲘ,**
**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი:**

# ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ

**ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ** სიბრძნე გვასწავლის, შორ მწვერვალს ვერ მიაღწევ, ახლოს თუ ვერ დაძლევ, და ბევლინდელ დღეზე ლაპარაკიც, გუშინ და დღეს გაკეთებული გაუანალიზებლად, ძნელია. უნდა გამოვყოთ კარგი, რაც მომავალიც გამოგადგება, და არც ნაკლოვანებები დავივიწყოთ, რათა აღმოვფხვრათ ისინი, წინსვლა რომ არ დაგვიბრკოლონ.

განვლილმა ხუთწლედმა ღირსეული ადგილი დაიკავა საბჭოთა სამხრეთ ოსეთის შრომითს ბიოგრაფიაში. მაგალითად, თუ მეათე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპმა 29,3 პროცენტი შეადგინა, ხოლო წარმოების მოცულობის აბსოლუტურმა მატებამ 11 მილიონ მანეთს მიაღწია, დამთავრებულ სამეურნეო ხუთწლეულში პირველი მაჩვენებელი გაორმაგდა, მეორე კი თითქმის 3,5-ჯერ გადიდდა. ორმაგი მატება ახასიათებს ავტონომიური ოლქის ინდუსტრიისა და აგრარული კომპლექსის განვითარების კაპიტალურ დაბანდებებსაც. სამხრეთ ოსეთმა ვადამდე შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი.

წარმატებანი მოპოვებულია იმის შედეგად, რომ. გაიზარდა მშრომელთა ორგანიზებულობა, პოლიტიკური შეგნება, მათი შრომის ნაყოფიერება, თანამიმდევრულად ხორციელდება ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა, რის დასტურიც არის ყოველდღიური დახმარება, რომელსაც სამხრეთ ოსეთს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა უწევენ. ყოველი საქმე კაცისაა და კაცით ხდება ცნობილი; დღესაც, გაკეთებულს შედეგებს როცა ვაჯამებთ, არ შეიძლება კეთილი სიტყვით არ მოვიხსენოთ ისინი, ვისმა შემოქმედებითმა ძიებამ და თავდადებულმა შრომამ წარმატებებზე ლაპარაკის საშუალება მოგვცა. ესენი, უწინარეს ყოველისა, არიან ქარხანა „მინანქარსადენის“ მუშა უმარ ტასოევი და ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მუშაკი დარეჯან თეთრაძე, მექანიკური ქარხანაში მომუშავე ივანე შელიაკი, ზნაურის რაიონის ველების საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი შოთა ქოქოევი და ბევრი სხვა, სწორედ ისინი და მათი თანამოსაქმე ამხანაგები იჩენენ პატრიოტულ თაოსნობებს, რომლებსაც ფართოდ უბამენ მხარს შრომითს კოლექტივებში — მათ შორის თაოსნობას სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

მაგრამ ვიაოთ თვითკრიტიკულნი: ხუთწლეულის მანძილზე ყველაფერი როდი გაკეთდა, რაც დასახული იყო. საოლქო პარტიული ორგანიზაცია უმთავრეს ყურადღებას უთმობს მძიმე ხელის შრომის ხვედრითი წილის შემდგომ შემცირებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებას, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას. ამ და მთელი რიგი სხვა საკითხების გადაწყვეტაზე დამოკიდებულია მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების განხორციელების რეალურობა.

პარტია და მთავრობა სახსრებსა და ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ სამხრეთ ოსეთი კიდევ უფრო აყვავდეს ქვეყნის ყველა სხვა ეროვნულ ოლქთან თუ რაიონთან ერთად. მეთორმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია ბევრი სამრეწველო საწარმოს გაფართოება, რეკონსტრუქცია და მშენებლობა. მათ შორის დამატებით სიმძლავრეთა ამოქმედება „ელექტროვიბრომანქანისა“ და მექანიკურ ქარხნებში, რომლებიც ახლანდელზე ერთისამად მეტ პროდუქციას გამოუშვებენ. დაახლოებით ერთიორად გაიზრდება ქარხანა „მინანქარსადენის“ სიმძლავრე, ახალ მასშტაბს შეიძენს კვაისის ტყვიათუთიის მაღაროთამამართველოს საქმიანობა. და, რაც მთავარია, ინდუსტრიული პოტენციალის ზრდასთან ერთად დასახულია სოციალური ინფრასტრუქტურის უპირატესი ტემპით განვითარება.

ჩვენი მთიანი მხარის ყოველი მეოთხე მცხოვრები ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში ომის მრისხანე ყამს და მათგან ყოველი მეორე არ დაბრუნებულა. ჩვენს ქვეყანას ძვირად დაუჯდა მშვიდობა. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ადამიანები ასე მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში ჩამოყალიბებულ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, თავიანთი შრომით განამტკიცებენ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკურ და თავდაცვითს ძლიერებას. მიმდინარე ხუთწლედი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი იქნება ამ გზაზე — ხალხის დიადი საქმენი გაიესკროვნებს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს.

## ᲗᲝᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲜᲔᲓᲔᲑᲖᲔ

**ᲧᲝᲕᲔᲚ** დილით სანაოსნოს ხელმძღვანელის მაგიდაზე იდება გემების პოზიციის ოპერატიული ცნობა, რომელიც შეიცავს დაწვრილებით პასუხს ყველა კითხვაზე: სად იმყოფება გემი, რომელი ნავსადგურიდან გამოვიდა, საით მიდის, რა და რამდენი ტვირთი მიაქვს. ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის მიერ შედგენილი ცნობის შესწავლით იწყება თავის სამუშაო დღეს ჯიმლ კონსტანტინეს ძე ჩიგვარი.

გულმოდგინედ აანალიზებს სანაოსნოს უფროსი თითოეულ სტრიქონს, თითოეულ ციფრს. მათ მიიმაა საზრუნავი, სადღეისო და სახვალიო საზრუნავი. საქართველოს სანაოსნომ ჯერ კიდევ შარშან მაისში შეასრულა საზღვარგარეთის ნაოსნობაში ტვირთბიდვის ხუთწლიანი გეგმა, — თქვა **Ჯ. ᲩᲘᲒᲕᲐᲠᲘᲐᲛ,** აგვისტოში კი ნავსადგურებში ტვირთის დამუშავებისა.

შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება. 2000 წლისათვის მოსახლეობის დასაქმების დონე მიაღწევს 86,1 პროცენტს, რაც 96 პროცენტით გაადიდებს საზოგადოებრივი წარმოების ზრდას.

## ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲣᲤᲠᲝᲡᲐᲓ

**ᲓᲐᲘ

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛᲓᲔ

# ᲛᲣᲖᲐᲗᲐ ᲐᲦᲛᲐᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ

**— რით იყო ღირსშესანიშნავი ყრილობიდან ყრილობამდე განვლილი პერიოდი ქართველი შემოქმედი ინტელიგენციისათვის? — „კომუნისტის“ კორესპონდენტს ამ კითხვაზე უპასუხებენ:**

## ᲒᲘᲒᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ,

**საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** კომპარტიის ბოლო ყრილობის შემდგომი პერიოდი ქართული თეატრალური კულტურის ახალი გამარჯვების და აყვავების მნიშვნელოვანი წლებია. ეს გამარჯვებანი უწინარესად იმით გამოვლინდა, რომ ქართული თეატრი მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ცხოვრებას, რაოა მაქსიმალური სისრულით აესახა თანამედროვეობა, ჩვენი დროის აქტუალური მოვლენები.

განვლილი ხუთწლედის მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ქართული ხელოვნებისადმი ხელმძღვანელობის სწორი ტონის მონახვამ საგრძნობ სასიკეთო ცვლილებებს მისცა იმპულსი ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლენება იყო ის თვისებრივი გარდაქმნები, რომლებიც თბილისის საოპერო თეატრში მოხდა. ეს გარდაქმნები მოპყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საოპერო თეატრის შემდგომი აღმავლობის თაობაზე.

ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ქართული საბჭოთა თეატრის საკავშირო და საერთაშორისო ავტორიტეტი. ამის გამოხატულებაა ის გასტროლები, რომელიც რუსთაველის თეატრს ჰქონდა უცხოეთში და საბჭოთა კავშირის ქალაქებში — კიევში, ლენინგრადში, ომსკში, ერევანში... ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო მოსკოვსა და ერევანში ამერკანელების თეატრების ფესტივალზე ნაჩვენები „ასერგასის დღე“, ანალოგიური მნიშვნელოვანი იყო მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები მოსკოვში, გერმანიაში „ოტელოს“ წარმოდგენა შექსპირის ფესტივალზე.

ქართული თეატრი პირნათელი შეხვდა დიადი გამარჯვების 40 წლისთავს. თითქმის ყოველმა თეატრმა მთელი თავისი მხატვრული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით დადგმული სპექტაკლები მიუძღვნა ამ თარიღს.

ქართული საბჭოთა თეატრის დიდი ავტორიტეტის დადასტურებად მიმაჩნია ისიც, რომ თბილისი იქცა მნიშვნელოვანი საკავშირო თეატრალური ფესტივალების მასპინძლად. გასულ შემოდგომაზე, ამჯერად მეორედ გაიმართა თბილისში ახალგაზრდული სპექტაკლების საკავშირო ფესტივალი. ამ ფესტივალზე თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა თელავის თეატრის სპექტაკლმა „ჩემი წყალჭალის ხმები“, ხოლო ფესტივალის დამაგვირგვინებელ მოვლენად იქცა კონსერვატორიის „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს სპექტაკლი „წუთისოფელი ასეა“.

სასიკეთო გაკეთა მოახდინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის გარდაქმნის თაობაზე. თამამად შეიძლება თქვას, რომ დღეს ჩვენი რესპუბლიკის თეატრებში როგორც რეჟისორული, ისე სამსახიობო ძალების გადახალისებამ საგრძნობ შემოქმედებითს გარდაქმნებს დაუდო სათავე.

სწორედ სერიოზულ მიღწევათა გამო აღინიშნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს „ხუთწლედის მატიანის“ პრემიით ქართული თეატრის მოღვაწეთა — გ. ქორდანიას („მარადისობის კანონი“ სოხუმის თეატრში), ალ. ქანთარიას და ზ. ანთელავას („ჩემი წყალჭალის ხმები“ თელავის თეატრში), ბ. კობახიძის, ზ. კვერენჩხილაძის და ე. მაღალაშვილის („სამიდან ექვსამდე“ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში) და შ. გაწერელიას, რ. თავართქილაძისა და ო. ბაღათურიას („ჩვენებურები“ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში) ნამუშევრები. ეს, რა საკვირველია, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენი დღეების ქართული თეატრისათვის ქვეყნის აღმშენებლობის პროცესი უმნიშვნელოვანესია, რომ სცენა იქცა იმ ტრიბუნად, რომელიც განიხილავს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

სცენური აზროვნების თანამედროვე სტილისტიკამ, წარსულშიც თანამედროვეობისათვის მნიშვნელოვანი პრობლემის აღმოჩენისადმი მისწრაფებამ განაპირობა ის გარემოება, რომ მარჯანიშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა დიმიტრი ალექსიძის, გიორგი გეგეჭკორის, დიმიტრი ჯანელიძის, მედეა კუჭუხიძის, იური ზარეცკის, შალვა გაწერელიას თვალსაჩინო თეატრალური ნამუშევრები.

ჩვენთვის საამაყოა და სასიხარულო, რომ განვლილ ხუთწლედში ყოველი ქართველი ხელოვნის საოცნებო რუსთაველის პრემია მიენიჭა ჩვენი მასწავლებლის დიმიტრი ალექსიძის მიერ ჩინებულად განხორციელებულ სპექტაკლს სოხუმის ქართულ თეატრში („ვეფიცეული ვაჭარი“).

ეს ყველაფერი გახლავთ უმაღლესი გამოვლინება ქართული თეატრალური კულტურის ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომისა. ამის მიღმა კი დგას ქართული თეატრის მოღვაწეთა დაუღალავი, მუხლჩაუხრელი შრომა, რაც გამოვლინდა მრავალ სპექტაკლში, როლში, სცენოგრაფიულ ნამუშევარში. ამის დასტური გახლდათ განვლილ ხუთწლედში ქუთაისის ლ. მეხიშვილის სახელობის, რუსთავის, სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის თეატრების გასტროლები მოსკოვში.

როგორ გაიზარდა ჩვენი რესპუბლიკის თეატრების თვალსაწვრი! თუ აქამდე საბჭოეთის დედაქალაქში გასვლა მხოლოდ დედაქალაქის პრეროგატივა იყო, დღეს საქალაქო თეატრებიც იქცევენ ყურადღებას, ხოლო თელავის თეატრის ორმა სპექტაკლმა ბალტიისპირელი მაყურებელი მოხიბლა.

ამგვარი შემართებული შრომა მომავალ ხუთწლედში კვლავაც უნდა გაგრძელდეს, ეს განსაკუთრებით ეხება რეჟისურას, უფრო უნდა გაიზარდოს მსახიობის როლი თეატრში, რათა იგი იქცეს სცენის ჭეშმარიტ ბატონ-პატრონად. ჩვენ უფრო თვალსაზრ, უფრო მკაფიოდ უნდა გამოვაჩინოთ სცენაზე ქართული დრამატურგია, რადგან სწორედ ამ გზით შეგვიძლია დავსვათ ჩვენი მაყურებლისათვის საჭირბოროტო საკითხები. უფრო ახლოს უნდა მივიდეთ ჩვენს მშრომელებთან. სწორედ ამ მიზანს ემსახურება თეატრალური საზოგადოების ინიციატივა, რომ ქართული თეატრის დღე აღინიშნოს რესპუბლიკის დაბა-ქალაქებში, რათა ჩვენი თეატრალური ცხოვრება იქცეს ერთიან შემოქმედებით პროცესად, რასაც წარმართავს დროსთან, ცხოვრებასთან აქტიური კავშირი, მომავლის რწმენა და პერსპექტივა.

## ᲒᲘᲖᲘ ᲧᲐᲜᲓᲐᲠᲔᲚᲘ,

**საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი**

**ᲔᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ** საქართველოს მხატვართა კავშირის შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა. ქართველი მხატვრები აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკაში მიმდინარე ყველა სასიკეთო გარდაქმნაში, ხელს უწყობდნენ ჩვენი ხალხის იდეური და სულიერი აღზრდის, მათი მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბების საქმეს.

საგრძნობლად გაიზარდა თვით მხატვრების პროფესიული მომზადების დონე, მათი პასუხისმგებლობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე. განსაკუთრებული აღინიშნის ღირსია მხატვართა უფრო მჭიდრო დაახლოება მშრომელ მასებთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ისინი სისტემატურად მიემგზავრებოდნენ შრომითებრივი მიერნებებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა დიდ მშენებლობაზე, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზე. ადგილზე შესრულებული ჩანახატებისა და ეტიუდების საფუძველზე შემდგომ იქმნებოდა მალალმხატვრული ტილოები, ქანდაკებები, გრაფიკული ფურცლები, რომლებიც ასახავდნენ საბჭოთა ხალხის გმირულ შრომასა და ცხოვრებას.

ამ წლების განმავლობაში ქართველი მხატვრების მონაწილეობით მრავალი გამოფენა მოეწყო როგორც თბილისში, ასევე რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. სასიხარულოა ჩვენი მხატვრების გასვლა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, საკავშირო და სახელოვარგარეთის საგამოფენო დარბაზებში. ასე, მაგალითად: საარბრიუკენში წარმატებით გამოიფინა დ. ნოდიას და ლ. შენგელიას, უნგრეთში ზ. ნიეარაძის, ტუნისში რ. თორდიას, პრაღაში გ. წერეთლის, საფრანგეთში ა. კაკაბაძისა და სხვათა ნამუშევრები.

1985 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინში ქართველ სცენოგრაფთა ჯგუფურმა გამოფენამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

ყოველწლიურად ეწყობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენებისადმი [illegible] ნილი საკავშირო და რესპუბლიკური გამოფენები, სადაც ქართველი მხატვრების წვლილი თვალსაჩინოა და საგრძნობი. ჩვენმა მაყურებელმა დადებითად შეიფასა ისეთი გამოფენები, როგორიც იყო: „სსრკ-60 წელი“, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი ექსპოზიცია თბილისსა და მოსკოვში, დიდი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა და ამჟამად საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში მოქმედი რუსეთ-საბჭოეთის გამოფენა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას ეძღვნება.

თბილისის საზოგადოების წინაშე ყოველწლიურად გამოფენა-ანგარიშით წარმოგვიდგენენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის მხატვრები.

პოპულარულია გაცვლითი გამოფენები, რომლებიც იმართება დედაზით „ხალხთა მეგობრობა“.

დიდია ახალგაზრდა მხატვართა წვლილი ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. მათი სისტემატური მნიშვნელოვანი ნამუშევრები ფართო საზოგადოებრობის ყურადღებას იპყრობს. შარშან ხობში მოეწყო ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა სემინარი, სადაც ერთხელ კიდევ დადასტურდა ჩვენი ახალგაზრდობის იდეური მრწამსი, მათი მზადყოფნა, ერთგულად ემსახურონ მშრომელიერ ხალხსა და ხელოვნებას. 1984 წელს პარიზში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკეებიგ. ჯიქიამ და ა. მოთი მზადყოფნა, ერთგულად ემსახურონ მშრომელიერ ხალხსა და ხელოვნებას. 1984 წელს პარიზში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკეებიგ. ჯიქიამ და ა. მოთ[illegible]

ამ ბოლო დროს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები და რაიონები არაერთი საინტერესო კულტურული ძეგლით დამშვენდა. უურადღების ღირსია მ. ბერძენიშვილის გამარჯვების მემორიალი ქუთაისში, ე. ამაშუკელის „დედანა“, თ. კიკალიშვილის კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი, ბ. ავალიშვილის „გალაკტიონი“, გ. ოჩიაურის „გამარჯვების მემორიალი“, ჯ. მიქატაძის „გალაკტიონი“, მ. მერაბიშვილის „ბაგრატიონი“ და სხვა.

ქართული მხატვრობის მიღწევათა საერთო აღიარების ლოგიკურ შედეგად გვევლინება სპარტიო ჯილდოები, რომლებითაც აღინიშნა მათი შემოქმედება. ამ პერიოდში სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები დაიმსახურეს ე. ამაშუკელმა, გ. ყანდარელმა, ზ. წერეთელმა, კ. ხუციშვილმა, ქ. ლებანიძემ, ბ. ცხაკაიამ.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ გ. ქუთათელაძეს და ზ. ნიეარაძეს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე“ კი მიიღეს რ. თორდიამ, ი. ტაბიძემ, ა. ხარებავამ, გ. წერეთელმა, ვ. ჯაფარიძემ, ჯ. ფიჩუაშვილმა, ლ. ქურდიანმა და თ. კლდიაშვილმა.

და აი, ახალი ხუთწლედიც დაიწყო, რომელიც ჩვენგან მეტ შემართებულ შრომას მოითხოვს.

---

Ა. ᲩᲘᲭᲐᲫᲔ

## ᲗᲣ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ ᲕᲐᲨᲕᲔᲜᲝᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲘᲦᲘ

ჩვენ ქვეყნად განა მისთვის მოვედით,
რომ ვიოცნებოთ ფუჭი დიდებით,
იქ უნდა ვიდგეთ მწყემსიც, პოეტიც,
სადაც სამშობლოს უფრო ვჭირდებით.
პა, კბოდე ებრძვის მდინარის ზვიერთებს,
მდინარეც ბრძოლით ეხლება კბოდეს.
ქვეყნად სიცრუით ვიაროთ ვიდრე,
ჩვენ გვირჩევნია სიმართლით მოვკვდეთ.
უნდა შევაქოთ, რაიც კარგია
და შევაჩვენოთ ძაგების ღირსი.
კაცი ქვეყანას თუ არ არგია,
ფუჭზე ფუჭია სიცოცხლე მისი.
მუბლს ქვეყნის ფიქრი უნდა ღარავდეს,
ვუსმენდეთ ძახილს გულმართალ ხალხის...
ხალხის საქმისთვის გავჭაღარავდეთ
და არა — მრუდე საქმეთა ჩარხვით.
უნდა გავიგოთ ტკივილი მიწის,
თუ გვსურს ვაშენოთ მომავლის ხიდი.
ზოგია, ჩვენი მიწისთვის იწვის,
ზოგიც — ჩვენს მიწას გროშებზე ყიდის.
გვენთოს რწმენის მზე გულდაუღალი,
ჩვენს ყველა საქმეს სიკეთე ერქვას.
სანამ დასეტყვავს ვენახს ღრუბელი,
ჭურვი ცამიეე ადნობდეს სეტყვას.
მიწაზე გარჯით ვისაც უყვია,
უმღერს ლექსიც და ფრინველთ გალობაც.
დოვლათი — კაცის ჭირნახულია
და არა მხოლოდ — მიწის წყალობა.
კაცს შრომით დაღლა მზესავით შვენის,
გარჯაა მტერი ყოველგვარ ურვის.
ოფლითა ჩვენით,
ოფლითა ჩვენით
ვპოვოთ ყოველმან არსობის პური!

* * *

როცა სახლშია ოქრო და ბროლი,
თოჯინა — ასი,
ბავშვი კი — ერთი,
იქ მომავალი სავსეა ბოლით,
სწუხს მომავალზე სიცოცხლის ღმერთი.
მიწა უკაცოდ მუდამ მდუმარებს,
სიცოცხლეს ადევს კარზე ყადაღა...
ჩვენ თუ ქვეყანას არ მოვუარეთ,
გაიხარებენ მტრები გადაღმა.
რამე წყალობას ნუ ველით ციდან,
ბედის მინდობა არა ღირს, არა!
აკვანმრავალი სიცოცხლე გვინდა,
რომ საქართველომ იაროს მარად!

* * *

ჩვენ ქვეყნად განა მისთვის მოვედით,
რომ ვიოცნებოთ ფუჭი დიდებით,
იქ უნდა ვიდგეთ მწყემსიც, პოეტიც,
სადაც სამშობლოს უფრო ვჭირდებით!

---

## ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲓᲐᲜ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** სსრ სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში წარმოდგენილი ექსპოზიცია სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას ეძღვნება.

გამოფენის ექსპონატები შერჩეულია მუზეუმის ფონდიდან და ზოგიერთ მათგანს პირველად იხილავენ ხელოვნებისმოყვარულნი. ექსპოზიცია მოამზადა მუზეუმის საბჭოთა რესპუბლიკების ხელოვნების განყოფილებამ, რომელმაც არსებობის რვა წლის მანძილზე დიდი მუშაობა გასწია მასალათა მოსაპოვებლად.

ორი წლის განმავლობაში თერჯოლასა და ქუთაისში გამართულმა საკავშირო თუ საერთაშორისო პლენერებმა საშუალება მისცა მომმე რესპუბლიკათა მხატვრებს უკეთ გასცნობოდნენ საქართველოს — მის ხალხს, კულტურასა და ტრადიციებს. ძნელია, გულგრილი დარჩეს ხელოვანი ქართლ-კახეთისა და იმერეთის პეიზაჟებისადმი, და, ალბათ, ამანაც განაპირობა გამოფენაზე წარმოდგენილ ფერწერულ ტილოთა კოლორიტი თუ თემატიკა. საინტერესოა, როგორ აღიქვამენ უცხოები თბილისისა თუ ქუთაისის ქუჩებს, ძველ უბნებს, ჩვენს მთა-ბარს, წელწადის დროებს... ვ. კოკორინი — „ქუჩა ქუთაისში“, რ. მიკნიავიჩინე — „ძველი ქუთაისი“, გ. მუქანიეკსი — „ქუთაისის ბაზარი“, ჟ. უმარბეკოვი — „შემოდგომა იმერეთში“, რ. ბაბაევი — „ქუთაისი“, ე. რომანესკუ — „ძველი ქუჩა“, ა. პაველოვი — „ალავერდის ტაძარი“, ა. პაპიკიანი — „გელათი“ —მართლაც და რამდენი მხატვრისათვის დაუკარგავს მოსვენება იმერეთის მშვენიერებასა და ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს.

ექსპოზიციაში ეცნობით ძველი თაობის წარმომადგენლების, სსრ კავშირის სახალხო მხატვრების ვ. ფავორსკის, ა. შევჩენკოს, ნ. ჟუკოვის, ი. გრაბარის და სხვათა ნამუშევრებს.

რასაკვირველია, ყველა მხატვარი თავისებურად აღიქვამს გარემოს, შესრულების დონეც სხვადასხვაა, მაგრამ მთავარია ის დამოკიდებულება, განწყობა და სიყვარული საქართველოსადმი, თითოეულ ტილოზე რომ იკითხება.

**ᲔᲥ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲫᲔ.**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: გამოფენის ექსპონატები: „ი. გრაბარის „მეიდეა ჯაფარიძე“ და რ. ბაბაევის „ქუთაისი“.**

**3. ᲒᲔᲜᲖᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.**

---

## ᲡᲐᲠᲞᲐᲢᲘᲝ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ** ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ახალ ლაურეატთა სახელები. საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ეს ჯილდო ენიჭებათ ორ წელიწადში ერთხელ კულტურის მოღვაწეებს საოკეთესო მუსიკალური ნაწარმოებებისათვის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის ისტორიისა და თეორიის დარგის შრომებისათვის, ნაყოფიერი საკონცერტო მოღვაწეობისათვის.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის 1985 წლის პრემია მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტს დირიჟორ **დიდიმ მარცხულავას** — თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ოპერა „დაისის“ დადგმისათვის, ოპერის გრამფირფიტაზე ჩაწერისათვის.

სპატიო ჯილდო სიკვდილის შემდეგ მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტს, სახელმწიფო ანსამბლ „რუსთაველის“ სოლისტს **ჰამლეტ გონაშვილს** — ნაყოფიერი საკონცერტო მოღვაწეობისათვის.

პრემია მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტს კომპოზიტორ **ნოდარ გაბუნიას** — მეორე სიმფონიის შექმნისათვის.

---

## ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. გურამ ივანეს ძე გვეტაძე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

---

ᲐᲖᲘᲐ

## ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲕᲘᲢᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

**ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ**

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. პრეზიდენტი რეიგანი თეთრ სახლში შეხვდა ევროპაში ნდობის, უშიშროებისა და განიარაღების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ სტოკჰოლმის კონფერენციაზე შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურს რობერტ ბერის იმასთან დაკავშირებით, რომ 28 იანვარს იწყება ამ კონფერენციის მორიგი რაუნდი.

## ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

## ᲒᲐᲛᲝᲐᲐᲨᲙᲐᲠᲐᲕᲔᲡ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ უშიშროების ძალებმა გამოაშკარავეს სიქ ტერორისტთა შეთქმულება, რომლებსაც დაგეგმილი ჰქონდათ ქვეყნის ხელმძღვანელებზე თავდასხმა.

როგორც ინდოეთის დედაქალაქში დაპატიმრებულმა ვინმე ჯარჯინდერ სინგმა აღიარა, 26 იანვარს, რესპუბლიკის დღის ზეიმის დროს, მას ხელყუმბარა უნდა ესროლა ტრიბუნაზე მყოფი მთავრობის წევრებისათვის. ექსტრემისტს უპოვეს ეცეხლსაროული იარაღი, ტყვია-წამალი და ხელყუმბარები.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ჯ. სინგჰსა და მის თანამზრახველებს პასუხისმგებლობა ეკისრებთ შარშან ზაფხულში ინდოეთის ეროვნული კონგრესი (ი) მმართველი პარტიის ცნობილი მოღვაწეების ლალიტ მაკენისა და არჯუნ დასის მკვლელობისათვის, აგრეთვე პენჯაბის შტატი ჩადენილი სხვა ბოროტმოქმედებისათვის.

დელში განახორციელეს უშიშროების დამატებითი ღონისძიებანი. გაძლიერდა დედაქალაქის აეროპორტის, ვაგზლებისა და საავტომობილო მაგისტრალების დაცვა.

## ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ინდირა განდის მკვლელობის საქმის გამო აქ დამთავრებულ პროცესზე გამოაცხადეს განაჩენი. სასამართლომ ბრალდებულნი, რომლებმაც 1984 წლის 31 ოქტომბერს მოამზადეს

თეთრი სახლის მიერ სპეციალურად გავრცელებულ პრეზიდენტის განცხადებაში გამოთქმულია აზრი იმის თაობაზე, რომ წლიულს სტოკჰოლმის ფორუმზე შესაძლებელია დაიდოს „შეთანხმება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობისათვის“.

## ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

## „ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ“

**ᲐᲛᲐᲡ წინათ ტოკიოს „ტამა ტეკუს“ პარკში გაიმართა „იდეების კონკურსი“, რომელმაც მასში მონაწილეობის მსურველი ასობით ენოუზიასტი და ათასობით მაყურებელი მიიზიდა იაპონიის ყველა კუთხიდან.**

**მონაწილეთა წინაშე დასახული იყო ამოცანა ყიურის განსახილველად წარმოედგინათ უფრო მეტად არა პრაქტიკულად სასარგებლო გამოგონება, არამედ თავიანთი ნაწარმოებით ეჩვენებინათ თანამედროვე დიზაინერის შემოქმედებითი აზრის აღმაფრენა, ფანტაზიისა და წარმოდგენის შესაძლებლობანი.**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მოტოციკლეტი — „წყალმზომი“. იგი დამზადებულია ალუმინისაგან და აღჭურვილია ძრავით. მანქანა გათვალისწინებულია წყალსატევებით უხვი რაიონების მეხოვრეთათვის.**

**ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.**

---

## ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

## ᲒᲘᲒᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

## ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲘ

**ᲔᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ** საქართველოს მხატვართა კავშირის შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა. ქართველი მხატვრები აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკაში მიმდინარე ყველა სასიკეთო გარდაქმნაში, ხელს უწყობდნენ ჩვენი ხალხის იდეური და სულიერი აღზრდის, მათი მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბების საქმეს.

საგრძნობლად გაიზარდა თვით მხატვრების პროფესიული მომზადების დონე, მათი პასუხისმგებლობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე. განსაკუთრებული აღინიშნის ღირსია მხატვართა უფრო მჭიდრო დაახლოება მშრომელ მასებთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ისინი სისტემატურად მიემგზავრებოდნენ შრომითებრივი მიერნებებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა დიდ მშენებლობაზე, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზე. ადგილზე შესრულებული ჩანახატებისა და ეტიუდების საფუძველზე შემდგომ იქმნებოდა მალალმხატვრული ტილოები, ქანდაკებები, გრაფიკული ფურცლები, რომლებიც ასახავდნენ საბჭოთა ხალხის გმირულ შრომასა და ცხოვრებას.

ამ წლების განმავლობაში ქართველი მხატვრების მონაწილეობით მრავალი გამოფენა მოეწყო როგორც თბილისში, ასევე რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. სასიხარულოა ჩვენი მხატვრების გასვლა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, საკავშირო და სახელოვარგარეთის საგამოფენო დარბაზებში. ასე, მაგალითად: საარბრიუკენში წარმატებით გამოიფინა დ. ნოდიას და ლ. შენგელიას, უნგრეთში ზ. ნიეარაძის, ტუნისში რ. თორდიას, პრაღაში გ. წერეთლის, საფრანგეთში ა. კაკაბაძისა და სხვათა ნამუშევრები.

## ᲞᲠᲔᲡᲙ ᲙᲚᲣᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

## „ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲘᲡ“ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲛᲘᲡᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. როგორც ეუწონალი „ავიეიშნ უიკ ენდ სპეის ტექნოლოჯი“ იუწყება, მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „კოლუმბიის“ ეკიპაჟი, რომელმაც ეს-ეს არის დამთავრა შვიდდღიანი ფრენა, სულაც არ ასრულებდა მშვიდობიან კვლევასა და ექსპერიმენტს, როგორც ნასახ ხელმძღვანელობა ამტკიცებდა.

ფრენის პროგრამა ითვალისწინებდა თვალთვალისა და დამიზნების სისტემის სრულიად ახალი მოწყობილობის საიდუმლო გამოცდას. ეს მოწყობილობა „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია. გამოცდაში ეკიპაჟის გარდა მონაწილეობდნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საპაერო ძალების თვითმფრინავები, რომლებიც მოძრაგი სამიზნეების როლს ასრულებდნენ.

## ᲑᲝᲚᲘᲕᲘᲐ

## ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ

**ᲚᲐ-�პᲐᲖᲘ. ბოლივიის მთავრობის მთელი შემადგენლობა გადადგა, რასაც დათანხმდა ქვეყნის პრეზიდენტი ვიქტორ პასო ესტენსორო.**

სახელმწიფოს მეთაურმა გამოაცხადა, რომ მალე შეიქმნება მინისტრთა ახალი კაბინეტი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კომენტარებში აღნიშნულია, რომ მთავრობის კრიზისის მთავარი მიზეზია ბოლივიაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამწვავება.

## ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲥᲛᲔ

## ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲓᲔᲜᲨᲘ

ᲙᲣᲕᲔᲘᲢᲘ. სამხრეთ იემენიდან მოსული ცნობების თანახმად, ადენში თანდათან ცხრება დაძაბულობა. ამასთან აღნიშნავენ, რომ მოპირისპირე ჯგუფებებს ამოეწურათ სამხედრო შესაძლებლობანი. დედაქალაქის მთელ რიგ რაიონებში ბრძოლები რამდენადმე ჩაცხრა, თუმცა რაიონში, სადაც ზოგიერთი საელჩო მდებარეობს, პირთა ჯგუფები გაძლიერებით განაგრძობენ სროლას და აბრკოლებენ საელჩოების თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა ევაკუაციას.

იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული ორი რადიოსადგური, რომელთაგან ერთი მთავრობის რადიოს ტალღაზე მუშაობს, ეთერში გავიდა. მოპირისპირე ჯგუფებთაგან თითოეული თავის გადაცემებში აცხადებს, რომ იგი „კონტროლს უწევს მდგომარეობას ქვეყანაში“.

ადენის გარეუბნებსა და ზოგიერთ პროვინციაში აღინიშნება პერიოდული სროლა.

---

## ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲔᲬᲝᲓᲐ

**ᲤᲔᲠᲓᲘᲜᲐᲜᲓ ᲛᲐᲠᲙᲝᲡ** ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘ